ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 29 (85)

24-30 ივლისი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ნომერშია:

აბესალომ ტუღუში:
ვის არ სურს არჩევნების ჩატარება?
მე-3 გვ.

ფელიქს კოჭიაშვილი:
სახელმწიფო — ეს ჩვენ ვართ!..
მე-4 გვ.

პოეტი ზაურ კალანდია:
ისეთი საქართველო მინატრით
მე-5 გვ.

გახსოვთ, ალბათ, თუ რა დიდი კმაყოფილებით შეხვდა სრულიად საქართველო დღევანდელ ხელისუფალთა გადაწყვეტილებას ყველა სახის სამხედრო ფორმირებათა ყაზარმულ მდგომარეობაზე გადაყვანის შესახებ.

ჩვენს მკითხველს ისიც ემახსოვრება, თუ რა გულგახარებულნი და მადლიერების გრძნობით აღვსილნი ვწერდით ამის თაობაზე ჩვენს გაზეთში ცოტა ხნის წინ და წერილს ასეთი სათაურიც კი წავუმძღვარეთ: **„თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი პირობას არ არღვევენ"**.

სამწუხაროდ, დღეს, იმ ტკბილადმოსაგონარი გადაწყვეტილების მიღებიდან თვენახევრის შემდეგ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პირობა ირღვევა.

დღესაც, ისევე, როგორც ფიცაა, ესეც ცხადია.

ჯანდაბას. უმიზნო ბათქაბუთქს კიდევ მოითმენს კაცი (თუ ტყვია-წამალიც არ გვედარდება), მაგრამ იმ ათეულობით და ასეულობით სიცოცხლეს რა ვუყოთ, ავტომატიანმა არაკაცებმა რომ შეიწირეს.

რაღა შორს წავიდეთ. აგერ, სამიოდე დღის წინ, მცხეთაში, ნატახტართან, სწორედ ასეთმა არამზადებმა მოუთავეს ხელი სრულიად უდანაშაულო, უმანკო სიცოცხლეს — თორმეტი წლის გოგონას. იმავე დღეს, თუ არ ვცდები, ასეთივე გარეწრებმა, ზაჰესის დასახლებაში, ერთი ახალგაზრდა კაცი გამოასალმეს წუთისოფელს.

რა ვუთხრათ მათ ჭირისუფალთ? რა ვუთხრათ სრულიად საქართველოს, რომელიც გვქონდეს.

ერთი უცნაური ამბავიც გვჭირს ქართველებს: რამდენადაც წინ მივდივართ საგარეო პოლიტიკაში, იმდენადვე ჩამოვრჩებით საშინაო პოლიტიკის საკითხებში. თუმცა, საშინაო პოლიტიკის ნორმალურად გატარებისთვის ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორიც არსებობს და წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული უმძიმესი შეცდომების გასწორებას, ალბათ, არათუ დღევანდელი ხელისუფლების, არამედ მომდევნო არაერთი და ორი ხელისუფლების დიდი ძალისხმევა დასჭირდება, მაგრამ, უბედურება ის გახლავთ, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამაც არაერთი შეცდომა დაუშვა.

შეიძლება, ზედმეტად მწარე გამომივიდა ზოგიერთი

# თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი პირობას არღვევენ

ამ თვენახევრის უკან, კვლავ დაშლიგინობენ თბილისის ქუჩებში და რაიონებში შეიარაღებული ფორმიანები და უფორმოები, კვლავ ხდება თავდასხმები, ყაჩაღობები, მკვლელობები, ძარცვები და სხვა ათასგვარი საზარელი დანაშაული, რომელთა ჩამდენთ არცთუ იშვიათად გვარდიელის თუ სხვა შეიარაღებული ფორმირების წარმომადგენელთა ფორმები აცვიათ და ერთმა ღმერთმა უწყის, მართლაც გვარდიელები სჩადიან ამ არაკაცურ საქციელს თუ მათ სამოსელში გამოხვეული ყაჩაღები აკეთებენ თავიანთ შავ საქმეს (დაზარალებულთათვის ეს ვერაფერი შეღავათია).

დაბადების დღეებზე (ამაზეც ვწერდით), სხვა გასართობ ღონისძიებებზე თუ უბრალოდ, ჟინის მოკვლის მიზნით ისვრის ზოგიერთი ჩვენი წესრიგის დამცველი და სხვა სახეობის შეიარაღებული ფორმირების ზოგიერთი წარმომადგენელი ავტომატს და ღამ-ღამობით მოზეიმე ქალაქი ეგონება თბილისი უცხო კაცს, ისეთი კაკანი, ბათქა-ბუთქია ხოლმე ატეხილი. თუმცა, შეიძლება ამ ბათქა-ბუთქში ზოგი მართლაც წესრიგის დაცვის მიზნით იყოს განპირობებული, მაგრამ უმეტესობა კი რომ ერთგვარი „შედლუხის" ნაყოასეთი არაკაცების თარეშის ასპარეზად ქცეულა?

ბევრმა თქვენგანმა ნახა, ალბათ, ამ რამდენიმე დღის უკან სატელევიზიო გადაცემა, რომელიც ზაჰესში მომხდარ მკვლელობას მიეძღვნა. ისიც გახსოვთ, ალბათ, თუ რა თქვა ერთმა აღელვებულმა ზაჰესელმა: აბა, რა ვქნათ, ძმაო, ქუჩაში გასვლის მეშინია, ვისაც არ ეზარება, ყველა ავტომატით დარბის და ჩვენი პატრონი აღარავინაა. ჩვენც ავიღებთ იარაღს და დავიცავთ საკუთარ თავსო.

მადლობა ღმერთს, თავისუფლება გვეღირსა, თითქმის მთელმა მსოფლიომ გვცნო და ბუნებრივია, ხელისუფლებაც ზრუნავს დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის აუცილებელი ატრიბუტის — არმიის შექმნაზე. ღმერთო, შემინდე, ხანდახან მკრეხელური აზრიც გიჩნდება კაცს: რა ჯარის შემქმნელები ჩვენა ვართ, ვინც დღეს გვყავს, ისინიც კი ვერ გაგვიმწესებია ყაზარმებშიმეთქი. რა თქმა უნდა, არმია ორ და სამ დღეში არ შეიქმნება, ამას დიდი ზრუნვა, სახსრები და ძალისხმევა სჭირდება, მაგრამ დღეს, საწყის საფეხურზე, ელემენტარული დისციპლინა მაინც ხომ უნდა ფრაზა, მაგრამ ქართველთა წესია, მოყვარეს პირში უძრახე და არა პირს უკანაო.

თუმცა, მეორე ქართული ანდაზისა არ იყოს, სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს, მაგრამ, იმედია, ხელისუფლების წარმომადგენლები და საზოგადოებაც მიმიხვდებიან იმ გულისტკივილს, რამაც ეს წერილი დამაწერინა.

მესმის, რომ ავტომატიანთა ვერმოთოკვა უსურვილობით არ არის გამოწვეული, მაგრამ რაკი ბატონები თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი არიან მათი ხელმძღვანელები, პასუხისმგებლობაც ყველაზე მეტად მათზეა.

ისინი ყველა ახალგაზრდას უკან ვერ დაუწყებენ დევნას, მაგრამ ყაზარმიდან რომ ავტომატი არ გაიტანოს ყმაწვილმა და ავტომატით არ შემოუჯდეს სასადილოში ბავშვების გვერდით მაგიდას, ამის მოგვარება მეტისმეტად ძნელი არ უნდა იყოს... ხოლო, ბოლოსდაბოლოს, თუ ამ მტკივნეულ პრობლემას არ მოაგვარებენ, უნდა ვიფიქროთ, რომ არც სურვილი აქვთ მისი მოგვარებისა.

სერგო ჯანაშია

# წალკის რაიონის პროკურორს

ბატონო პროკურორო ჩიტლოვ, ჩემს სახელზე თქვენს მიერ გამოგზავნილ ოფიციალურ მომართვაში კატეგორიულად ითხოვთ ბოდიშის მოხდას გაზეთ „საქართველოს" კორესპონდენტის თ. გოგოტიშვილისაგან, რომელიც ავტორია სტატიისა — „წალკაში მაფია ბობოქრობს".

წინააღმდეგ შემთხვევაში აპირებთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას.

მინდა გაუწყოთ შემდეგი:

საქართველოს ერთ-ერთი რაიონის პროკურორის ოფიციალური მიმართვა, საქართველოს ერთ-ერთი გაზეთის და თან გაზეთ „საქართველოს" რედაქტორისადმი, დაწერილია რუსულ ენაზე, რითაც ზარალდება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ენა.

ვინაიდან მეცა და თქვენც საქართველოში ვცხოვრობთ და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქენი ვართ, გთხოვთ ოფიციალური მომართვა გამომიგზავნოთ არა უცხო, არამედ ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ენაზე.

მხოლოდ ამის შემდეგ ვიზრუნებთ იმ მორალური კომპენსაციის შესახებ, რასაც თქვენ ითხოვთ.

პატივისცემით

ნოდარ გრიგალაშვილი
გაზეთ „საქართველოს" რედაქტორი

РЕДАКТОРУ ГАЗЕТЫ "САКАРТВЕЛО"

Г-НУ Н.ГРИГАЛАШВИЛИ

Корреспондент вверенной Вам газеты г.Гоготишвили Г. в статье "В Цалке бушует мафия" в нарушении всяких этических норм и Закона о печати, при отсутствии каких-либо оснований, без проверки фактов, не встречаясь с людьми, злоупотребляя служебным положением, воспользуясь Вашим доверием или безответственностью других должностных лиц редакции, наплел всякую чушь, нанес мне, как представителю государственной власти-прокурору района тяжкое оскарбление, голословно обвинив в руководстве мафией в Цалкском районе.

В противном случае мною будет возбуждено уголовное преследование в соответствии с уголовным законодательством Республики Грузия.

Прилагаю газету "Голос Времени" с переводом Вашей статьи и нашего ответа.

С уважением Читлов Ф.С. — Прокурор Цалкского района Советник юстиции

20.07.1992г.

# დემოკრატია და ხალხის ნება

## — ვახტანგ ერქომაიშვილი

**რედაქციისაგან: ბატონ ვახტანგ ერქომაიშვილის ვრცელ ნაშრომს, რომელსაც გაგრძელებებით შემოგთავაზებთ, რეაქცია შესაძლოა სხვადა—სხვაგვარი მოჰყვეს, მაგრამ, ვფიქრობთ ასეთი სტატიების გამოქვეყნება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების რთულ პროცესში არცთუ უმნიშვნელო როლს ითამაშებს.**

ზოგიერთი პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური მოღვაწე ლაპარაკობს ხალხის სახელით. თავიანთ მოსაზრებებს ისინი ასაღებენ ხალხის ნების გამოხატულებად და თავს დებენ ერის ინტერესების დამცველად. მათ ახასიათებთ შეურიგებლობა საწინააღმდეგო ან თუნდაც განსხვავებული აზრის მიმართ, რომლის მიმდევრებს ერის (ხალხის) მტრებად აცხადებენ.

ისტორიული გამოცდილება თვალნათლივ გვიჩვენებს თუ რა ტრაგიკულ შედეგებამდე მიგვიყვანა ხალხის მტრების გამოვლენამ და დევნამ. მიუხედავად ამისა ეს სამარცხვინო პროცესი გრძელდება. მან აპოგეას ავტორიტარული რეჟიმის პირობებში მიაღწია.

დიქტატურის დროს საკითხი მარტივად წყდება. არსებობს აზრთა და შეხედულებათა ერთიანობა, გამორიცხულია პლურალიზმი და ოპოზიცია. ყველა იზიარებს იმას, რასაც დიქტატორი ამბობს. აქ არჩევნები ფორმალურ ხასიათს ატარებს. იგი ავლენს გადაწყვეტილების ერთსულოვნებას და ერთადერთობას. სწორია მხოლოდ ის, რაც ხელისუფლებას, კერძოდ, მის მეთაურს სურს. ამგვარ სიტუაციაში ხალხის ნებას გამოხატავს დიქტატორი და ის, ვინც მის შეხედულებას იზიარებს. საწინააღმდეგო აზრი არა თუ მცდარია, არამედ მისი დაცვა უზნეობად და ხალხის ღალატად ითვლება. დიქტატორი ლაპარაკობს და მოქმედებს ხალხის სახელით.

საკითხი რთულდება დემოკრატიის პირობებში. საქმე ისაა, რომ აქ არსებობს ოპოზიცია და შეხედულებათა პლურალიზმი. არც ერთი საკითხი არ წყდება ერთსულოვნად. ყოველ თეზისს თავისი ანტითეზისი აქვს. ორივეს ჰყავს მომხრე-

ზოგი ხელისუფლებას უჭერს მხარს, ზოგი ოპოზიციას. განსხვავება რაოდენობაშია. რა უფლებით სარგებლობს უმცირესობა? იგი ვალდებულია თუ არა დაემორჩილოს უმრავლესობას? თუ ეს ასეა, მაშინ დემოკრატიის წინაშე დგება ორი მტკივნეული საკითხი:

1) დემოკრატია ხომ არ არის უმრავლესობის ბატონობა უმცირესობაზე? ხომ არ არის იგი დიქტატურის შენიღბული ფორმა? განსხვავებით ერთპიროვნული დიქტატურისაგან ხომ არ არის იგი უმრავლესობის დიქტატურა უმცირესობაზე?

2) გამოხატავს თუ არა დემოკრატია ხალხის ნებას? ხალხი არც მხოლოდ უმრავლესობაა და არც უმცირესობა. იგი ორივეს ერთიანობაა. უმრავლესობა არ ემთხვევა ხალხს მთლიანად. უმცირესობა მისი ისეთივე ორგანული და განუყრელი ნაწილია როგორც უმრავლესობა. ამიტომ უმრავლესობის ნება არ ნიშნავს ხალხის ნებას.

ბუნებრივია კითხვა: დემოკრატიის პირობებში ვის აქვს უფლება ილაპარაკოს ხალხის სახელით? ვინ გამოხატავს ხალხის ნებას — ხელისუფლება თუ ოპოზიცია? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ გავარკვიოთ ცნებები „დემოკრატია" და „ხალხის ნება".

### დემოკრატიის თანამედროვე გაგება

დემოკრატია გულისხმობს პიროვნების თავისუფლებას, მისი ღირსების და უფლებების დაცვას. იგი უშვებს აზრისა და მოქმედების პლურალიზმს, კრიტიკულ აზროვნებას, მაგრამ შემწყნარებელია სხვაგვარ შეხედულებათა მიმართ. ოპოზიცია არათუ ბუნებრივი და ნორმალური, არამედ კანონიერი მოვლენაა. მის ფუნქციობას არეგულირებს და იცავს კანონი. ხელისუფლება და ოპოზიცია თანასწორია კანონის წინაშე.

დემოკრატია, როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმა წარმოიშვა ანტიკურ ეპოქაში. მან განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა და კაპიტალიზმის პირობებში მიაღწია ახალ ეტაპს, როდესაც ჩამოყალიბდა ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის სისტემა. იგი ცივილიზაციის უდიდესი მონაპოვარია. რა თქმა უნდა, ისიც ევოლუციას განიცდის. ეს ნიშნავს, რომ არც ისაა იდეალური და სრულყოფილი, მაგრამ იგი ჯერჯერობით ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფლებას და ღირსებას. დემოკრატია თანამედროვე ეტაპზე არსებობს ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის სახით. მას ახასიათებს შემდეგი ნიშნები

1) კანონის უზენაესობა. თანდათანობით ჩამოყალიბდა სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს არეგულირებს კანონიერად მიღებული და სანქცირებული ნორმებისა და აქტების საფუძველზე. ყველა, მათ შორის, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ექვემდებარება კანონს. არავის, განსაკუთრებით ხელისუფლებას და მის მეთაურს არა აქვს კანონის დარღვევის უფლება. კანონის წინაშე ყველა თანასწორია და იგი ერთნაირად ვრცელდება ყოველ მათგანზე. დამნაშავე, თუნდაც ის სახელმწიფოს მეთაური იყოს, ისჯება კანონით.

პიროვნების ხელშეუხებლობა გარანტირებულია იმით, რომ ძალაშია და მოქმედებს უდანაშაულობის პრეზუმპცია. მოქალაქე დამნაშავეა თუ არა, ამას ადგენს მხოლოდ სასამართლო. სხვას არავის, მით უფრო სახელმწიფოს მეთაურს, უფლება არა აქვს ვინმე დამნაშავედ ცნოს. ეს სასამართლოს პრეროგატივაა, რომელიც დამოუკიდებელია და მის ფუნქციებში გარედან ჩარევა აკრძალულია.

2) **ხელისუფლების განაწილება:** ყოველი ხელისუფლების ამოცანაა გამოსცეს კანონი, აღასრულოს ისინი და უზრუნველყოს მართლწესრიგი. შესაბამისად მას აქვს სამი ფუნქცია — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. ეს ფუნქციები თავმოყრილია არა ერთი ორგანოს ან პირის ხელში, არამედ განაწილებულია სხვადასხვა ორგანოს შორის. კანონებს გამოსცემს პარლამენტი, აღასრულებს მთავრობა და მართლმსაჯულებას იცავს სასამართლო. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. მათი ფუნქციები მკაცრად გამიჯნულია და ურთიერთჩარევა დაუშვებელია. ეს ხდება იმ მიზნით, რომ არ მოხდეს ხელისუფლების უზურპაცია ერთი პირის მიერ და არ წარმოიქმნას ავტორიტარული რეჟიმი.

3) **არჩევნები.** ხელისუფლების ორგანოების ფორმირება და თანამდებობების დაკავება ძირითადად ხდება არჩევნების მეშვეობით. მათი ვადები და ჩატარების წესი მკაცრად რეგლამენტირებულია კანონის მიერ. არჩევნებს აქვს რეგულარული და სისტემატური ხასიათი.

4) **მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დამოუკიდებლობა ხელისუფლებისაგან.** მათზე არ არსებობს სახელმწიფო კონტროლი და ცენზურა. ისინი თავისუფალნი არიან და დამოუკიდებლად განაგებენ მოსახლეობის ინფორმირებას. ამით გარანტირებულია საჯაროობა და უზრუნველყოფილია აზრისა და სიტყვის თავისუფლება.

5) **ადამიანთა უფლებების დაცვა.** იგი გულისხმობს არა მხოლოდ პიროვნების, არამედ უმცირესობათა, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების გარანტიას და დაცვას.

დემოკრატია არსებობს მხოლოდ იმ საზოგადოებაში, სადაც ზემოთ ჩამოთვლილი პირობები დაცულია და გარანტირებულია მათი ცხოვრებაში განუხრელი გატარება. ყოველი მათგანის შესრულება აუცილებელია. იქ, სადაც ერთ-ერთი პირობა მაინც ირღვევა, დემოკრატია არ არსებობს. რომელიმე ცალკე აღებული ნიშანი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა დემოკრატიის არსებობისათვის. მხოლოდ ყველა ერთად უზრუნველყოფს მას.

ვინ უნდა უზრუნველყოს აღნიშნულ პირობათა დაცვა? უპირველეს ყოვლისა ხელისუფლებამ. იგია ვალდებული დაიცვას ისინი და აღკვეთოს მათი ხელყოფა. რა თქმა უნდა, სხვებსაც (მათ შორის ოპოზიციას, რიგით მოქალაქეებს და სხვა) ევალებათ მათი დაცვა, მაგრამ გარანტი ხელისუფლებაა და არა სხვა ვინმე. თუ მას არ სურს (ე.ი. თვითონ არღვევს თუნდაც ერთ-ერთ პირობას) ან არ ძალუძს მათი დაცვა, მაშინ იგი არადემოკრატიულია. ხელისუფლების წუწუნი, რომ მას ხელს უშლიან, არ აცლიან, საშუალებას არ აძლევენ და ა.შ., მეტყველებს მის უუნარობაზე და მას ზრაფერი ესაქმება ქვეყნის მმართველობის სისტემაში. იგი ნებით უნდა გადადგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის შეიძლება ძალით განდევნონ. იმის მოშველიება, რომ იგი კანონიერად არჩეულია და არავის არა აქვს უფლება მისი დამხობისა, საქმეს არ შველის; რა თქმა უნდა, ხელისუფლების დამხობა ძალის გამოყენებით არაკანონიერი აქტია, მაგრამ ვის მიუძღვის ბრალი ამაში? უპირველეს ყოვლისა თვითონ მას. ხელისუფლება, რომელსაც თავის დაცვა არ შეუძლია, ვერც ქვეყნის ინტერესებს დაიცავს. ამიტომ იგი ლებულობს იმას, რაც მან დაიმსახურა და მის საჩივარს, რომ მას არაკანონიერად მოექცნენ, ვინ განსჯის და დააკმაყოფილებს? ხალხი? ეს ხალხის ფუნქციებში არ შედის. ხალხი ხელისუფლებას იმიტომ ირჩევს, რომ მან მისი ინტერესები დაიცვას. თუ ხელისუფლება პირიქით ხალხისგან მოითხოვს დაცვას, ეს მისი უსუსურობის მაჩვენებელია. ამგვარი ხელისუფლება არა მხოლოდ სამარცხვინოა, არამედ უკანონოცაა. კანონიერია ის ხელისუფლება, რომელიც კანონიერებას დაიცავს და უკანონობას აღკვეთს. თუ იგი ამას ვერ ახერხებს, მაშინ თვითონ ხდება უკანონო და ძალით დამხობის ღირსია.

ჩვენ განვმარტეთ დემოკრატია. ახლა ვაჩვენოთ თუ რა არ არის იგი. ეს აუცილებელია, რადგან გავრცელებულია ცრურწმენანი, რომელთა საფუძველზე არასწორად ესმით მისი ბუნება.

### დემოკრატია და ხალხის მმართველობა

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გაგების თანახმად დემოკრატია ხალხის მმართველობაა. მიუთითებენ თვით სიტყვის მნიშვნელობაზე. იგი ძველბერძნული სიტყვაა: დემოს — ხალხს, ხოლო კრატოს — მართვას ნიშნავს. თუ ასე გავიგებთ დემოკრატიას, მაშინ იგი გულისხმობს ისეთ სახელმწიფოს, რომელსაც მართავს ხალხი. მაგრამ შესაძლებელია კი ასეთი სახელმწიფო? არა, არ არის შესაძლებელი. საქმე ისაა, რომ სახელმწიფო და ხალხის მმართველობა ერთმანეთს გამორიცხავს. იქ, სადაც საზოგადოებას ხალხი მართავს, სახელმწიფო არ არსებობს. სახელმწიფოს ხალხი არ მართავს და არც შეიძლება მართავდეს. მისი წარმოშობა გულისხმობს საგანგებო აპარატის შექმნას, რომლის უფლება და მოვალეობაა საზოგადოების მართვა. ეს არის პარლამენტი, მთავრობა, სამართალდამცავი ორგანოები და ა.შ. რომელთაც სხვა ფუნქცია არ გააჩნიათ თუ არა სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელება. მათი ერთობლიობა არის ხელისუფლება, რომელიც ხალხისაგან გამოყოფილია. იგი იქმნება საგანგებოდ იმ მიზნით, რომ სახელმწიფო მართოს, რადგან ხალხს ამ ფუნქციის შესრულება არ შეუძლია და არც ევალება.

პირველყოფილ საზოგადოებას მართავდა თვითონ ხალხი სახელმწიფოს გარეშე. მაგრამ საზოგადოების განვითარების კვალობაზე ცივილიზაციის წარმოშობამ განაპირობა სახელმწიფოს გაჩენა. საზოგადოების მართვა უკვე გართულდა, რომელიც ყველას არ შეუძლია. ამისთვის აუცილებელია სათანადო ნიჭი, პროფესიული ცოდნა და გამოცდილება. წარმოიშვა ახალი სოციალური ფენა, რომელიც დასაქმებულია სახელმწიფო ორგანოებში და ახორციელებს ძალაუფლებას. ეს არის პოლიტიკოსები, რომელთა აქმიანობა განისაზღვრება მხოლოდ სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელებით.

მაშასადამე, სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელება არის პროფესია, რომელიც საჭიროებს პროფესიონალებს, ე.ი. სათანადოდ მომზადებულ ადამიანებს. მათ სხვა საქმე გარდა იმისა, რომ მართონ საზოგადოება, არ გააჩნიათ. პოლიტიკოსები სწორედ ის ადამიანებია, რომლებიც ავად თუ კარგად ასრულებენ ამ ფუნქციას.

რა თქმა უნდა, პოლიტიკოსები ხალხის წრიდან გამოსული ადამიანებია ისევე, როგორც ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები, ვაჭრები, მუშები, გლეხები და ა.შ. ყოველი მათგანი ქმნის შესაბამის სოციალურ ფენას, რომელსაც თავისი ადგილი და დანიშნულება აქვს საზოგადოებაში.

არსებობს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, რაც ნიშნავს, რომ ყოველი სოციალური ფენა თავის საქმეს აკეთებს. პოლიტიკოსი სახელმწიფოს მართავს, მწერალი წიგნს წერს, მეცნიერი კვლევას ეწევა, მუშა ქარხანაში მუშაობს, გლეხი მიწას ამუშავებს და ა.შ. ამას მოითხოვს პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა. წარმოვიდგინოთ რა მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა საზოგადოება, რომ პოლიტიკოსმა დაიწყოს ქარხანაში მუშაობა, მუშამ სახელმწიფოს მართვა, გლეხმა წიგნის წერა, ხოლო მწერალმა მიწის დამუშავება. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს — ამას მოითხოვს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პრინციპი, რომელიც პროგრესის ელემენტარული პირობაა.

ამგვარად, სახელმწიფოს მართავს ხელისუფლება, ე.ი. პროფესიონალები (პოლიტიკოსები) და არა ხალხი. დემოკრატია როგორც სახელმწიფო მმართველობის ფორმა, არ ნიშნავს ხალხის მიერ საზოგადოების მართვას. სახელმწიფოს არსებობა თავისი არსით პრინციპულად გამორიცხავს აღნიშნულ ვითარებას. ვისაც ამგვარად ესმის დემოკრატია, მან უბრალოდ არ იცის რა არის სახელმწიფო. დემოკრატია არ არის და არც შეიძლება იყოს ხალხის მმართველობა. ასეთი სახელმწიფო ისტორიულად არ არსებობდა და არც შეიძლება არსებობდეს.

### დემოკრატია და უკანონობა

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ დემოკრატია გულისხმობს აბსოლუტურ თავისუფლებას, რასაც შედეგად მოსდევს კანონისადმი დაუმორჩილებლობა. ასე ესმოდა დემოკრატია პლატონს, რის გამოც მან უარყოფითად შეაფასა იგი.

პლატონის მიხედვით, დემოკრატიის უმაღლესი ფასეულობანია თანასწორობა და თავისუფლება. ყველა ერთი და იმავე უფლებებით სარგებლობს: მმართველი და ქვეშევრდომი, მოქალაქე და მონა, ძირძველი მცხოვრები და ჩამოსახლებული. ყოველ მათგანს შეუძლია აკეთოს ის, რაც სურს და იცხოვროს თავისი გემოვნების შესაბამისად. არავინ არავის არ ემორჩილება, რადგან ყველა თავისუფალია და არც ერთ მათგანზე არ ვრცელდება რაიმე ძალაუფლება. ერთი შეხედვით ამგვარი წყობილება კარგია და მისი დამკვიდრება სასურველი, მაგრამ თუ ოდნავ დავუკვირდებით, მაშინ თვალნათლივ გამოჩნდება მისი უარყოფითი შედეგები. მათ იწვევს დემოკრატიის ძირითადი ფასეულობანი — თანასწორობა და თავისუფლება, რომლებიც საბოლოოდ ღუპავენ მას. საქმე ისაა, რომ ყოველგვარი ძალადობა ადამიანების სულში იწვევს აღშფოთებას. ნებისმიერი ძალადობა განიცდება ბოროტებად და უარიყოფა როგორც დაუშვებელი. ამას შედეგად მოსდევს ის ვითარება, რომ ადამიანები უარს ამბობენ ყოველგვარი კანონის — დაწერილის და დაუწერელის — დამორჩილებაზე, რათა საერთოდ არავის და არაფერს მათზე არ ჰქონდეს რაიმე ძალაუფლება.

მაშასადამე, პლატონს თავისუფლება დემოკრატიის პირობებში ესმის როგორც აბსოლუტური, სადაც არავინ არავის და არაფერს არ ემორჩილება. კანონი არ კანონობს, ამიტომ სრული განუკითხაობა და თვითნებობაა გამეფებული. დემოკრატია წარმოშობს ქაოსს საზოგადოებაში. უკანონობა და უწესრიგობა არის მისი დამახასიათებელი ნიშანი. ამის გამო იგი ბადებს ტირანიას, რადგან უკიდურესი თავისუფლებიდან წარმოიშობა უდიდესი და უსასტიკესი მონობა.

არისტოტელემ სასტიკი განაჩენი გამოუტანა დემოკრატიის იმ ფორმას, სადაც ძალაუფლება ეკუთვნის ხალხს და არა კანონებს. აქ ხალხი ხდება თვითმპყრობელი და დესპოტი. ამგვარი დემოკრატია ემსგავსება ტირანიას. სრული გასაქანი ეძლევათ მლიქვნელებსა და დემაგოგებს. პირველნი უფრო მეტად ფასობენ ტირანიის, ხოლო მეორენი — დემოკრატიის დროს. თანამდებობის პირთა საქმიანობას განსაზღვრავს არა კანონები, არამედ ხალხის დადგენილებები და გადაწყვეტილებები. დემაგოგები ბრალდებებს ამ პირთა მიმართ აყენებენ ხალხის სამსჯავროზე, მას თხოვენ მათ გასამართლებას. ხალხიც სიამოვნებით კისრულობს ამ როლს და გამოაქვს თავისი განაჩენი. ამ შემთხვევაში ფართო გასაქანს იძენს დემაგოგია, იაფფასიანი მოწოდებები და ლოზუნგები, მასის არაკომპეტენტურობა და არაპროფესიონალიზმი. ეს არის არა დემოკრატია, არამედ ოხლოკრატია, არა ხალხის, არამედ ბრბოს მმართველობა.

არისტოტელემ უარყოფითად შეაფასა დემოკრატიის აღნიშნული ფორმა. მისი აზრით, იგი საერთოდ არ წარმოადგენს სახელმწიფო წყობილებას, რადგან იქ, სადაც არაა კანონის ბატონობა, არც სახელმწიფოა. კანონი უნდა ბატონობდეს ყველაფერზე — დაასკვნის დიდი ბრძენი ფილოსოფოსი.

სწორია თუ არა დემოკრატიის აღნიშნული გაგება? არა, არ არის სწორი. აქ უმართებულოდაა გაგებული დემოკრატიის ძირითადი ფასეულობანი — თანასწორობა და თავისუფლება. თანასწორობა არ ნიშნავს პიროვნებათა გათანაბრებას. იგი გულისხმობს მხოლოდ ერთს: თანასწორობას კანონის მიმართ — მის წინაშე ყველა თანაბარია. არავის, არც მმართველს და არც ქვეშევრდომს არა აქვს რაიმე უპირატესობა ან პრივილეგია. კანონი ყველასთვის ერთნაირად სავალდებულოა.

რაც შეეხება თავისუფლებას, იგი შეფასებითია და არა აბსოლუტური. ყველაფერი როდია ნებადართული და დაშვებული. სასტიკად აკრძალულია კანონის უგულვებელყოფა და დარღვევა. პიროვნება თავისუფალია არა კანონისაგან, არამედ კანონის ფარგლებში. გამართლებულია არა ყოველგვარი, არამედ კანონიერი თავისუფლება. ნებადართულია მხოლოდ ის, რაც კანონით აკრძალული არ არის.

დემოკრატია არ გამორიცხავს ყოველგვარ იძულებას. იგი კრძალავს არაკანონიერ და არასანქცირებულ იძულებას. მაგრამ კანონის დარღვევათა მიმართ იძულება არა თუ გამოიყენება, არამედ გამართლებულია და სამართლიანად ითვლება. დემოკრატია არ ნიშნავს განუკითხაობას და დაუსჯელობას. დამნაშავე უნდა დაისაჯოს. დაუსჯელობა ახალ დანაშაულს და ძალადობას ბადებს. თუ გვინდა, რომ დანაშაული აღვკვეთოთ, დამნაშავე მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს. მაგრამ ყოველივე ეს უნდა ხდებოდეს კანონიერების ფარგლებში, რადგან ყოველი უკანონო აქცია იწვევს უკანონო რეაქციას.

ყოველი სახელმწიფოს მიზანი საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაა. მაგრამ წესრიგი არის ცივილიზებული და არაცივილიზებული; პირველს ამყარებს დემოკრატია, მეორეს — დიქტატურა. ამ მიზნით დემოკრატია მიმართავს კანონს და მის საფუძველზე ახორციელებს ძალაუფლებას, ხოლო დიქტატურა მოქმედებს უკანონოდ და იყენებს რეპრესიების მეთოდს. ასე რომ, დემოკრატია არ არის უწესრიგობა, უკანონობა და თვითნებობა. იგი მათ გამორიცხავს კანონის განუხრელი დაცვით.

ერთადერთი, რისადმი დამორჩილებასაც დემოკრატია მოითხოვს არის კანონი. იგი ბატონობს ყველაზე და ყველაფერზე. ამას მოითხოვს კანონის უზენაესობის პრინციპი.

(გაგრძელება იქნება)

# ვის არ სურს არჩევნების ჩატარება?

ამ თვენახევრის წინ, უფრო ზუსტად კი 29 მაისს, საქართველოს დემოკრატთა კავშირმა გამოაქვეყნა მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი, სახელმწიფო საბჭოსადმი და პოლიტიკური პარტიებისადმი წინადადებით — მოეწყოს რეფერენდუმი, რომელზედაც ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა უნდა უპასუხონ სამ კითხვაზე; რომელთაგან ყველაზე არსებითია პირველი:

„მხარს უჭერთ თუ არა, რომ ქვეყნის. პარლამენტის არჩევნების ჩატარებამდე ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ფუნქცია შეასრულოს სახელმწიფო საბჭომ?“

ამ წინადადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ კი დემოკრატთა კავშირმა გამოაქვეყნა მიმართვა სახელმწიფო საბჭოსადმი, სადაც ვერ დაფარა თავისი წუხილი იმის გამო, რომ მათს წინადადებას, მათივე სიტყვებით რომ ვთქვა, „რატომღაც დუმილით შეხვდნენ, როგორც სახელმწიფო საბჭო, ისე საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ორგანიზაციები“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1992 წ. № 118—119).

ამ ფუნქციის შესრულება. ეს, რასაკვირველია, დემოკრატიული კავშირის თავკაცებმაც იციან.

მაშ, რატომ გვახვევენ თავს ესოდენი დაჟინებით რეფერენდუმის ჩატარების წინადადებას?

ადვილი მისახვედრია, რომ ისინი 11 ოქტომბრისათვის დანიშნული პარლამენტის არჩევნების ჩაშლას ისახავენ მიზნად. მართალია, დემოკრატიული კავშირი და მისი თანამდგომი სამართლიანობის პარტია გვიმტკიცებენ, რომ რეფერენდუმის ჩატარება მომავალ საპარლამენტო არჩევნებს კი არ გამორიცხავს, არამედ პირიქით, მისი გარანტი იქნებაო, მაგრამ ეს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის ანგარიშმიუცემელი ცდაა, რადგან დემოკრატთა კავშირის მეორე თანათავმჯდომარემ, პროფესორმა გურამ მამულიამ დაუფარავად განაცხადა, რომ სახელმწიფო საბჭომ, რომელსაც რეფერენდუმის მეშვეობით გარკვეული ლეგიტიმურობა მიენიჭება, ჩვენი ქვეყანა 3—5 წლის მანძილზე უნდა მართოს, სანამ მეტნაკლები სტაბილიზაცია არ იქნებაო მიღწეული (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 1992. № 127).

პარლამენტის არჩევნებამდე სულ რაღაც ორთვენახევრამდე მაცდური რეფერენდუმის ჩატარებას რომ გვთავაზობენ.

ეს რაც შეეხება საქმის ძირითად არსს. ახლა მის მეორე მხარეზე ვილაპარაკოთ.

დემოკრატიული კავშირის და სხვა „ვარდისფერი“ პარტიების განცხადებებში თვალშისაცემია ბატონ ედუარდ შევარდნაძის სახელით სპეკულაციის ტენდენცია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება (და ვგონებ ეს ასეც უნდა იყოს), რომ ხელისუფლების შენარჩუნების ან ხელისუფლებაში დამკვიდრების მოსურნეთა გარკვეული ჯგუფები ცდილობენ მისი სახელის თავიანთი მიზნებისათვის გამოყენებას. თუმცა მეეჭვება რომ ეს შეძლონ, რადგან ბატონ ე. შევარდნაძის სახით მათ საქმე აქვთ კაცთან, რომელიც არასოდეს დაუშვებს მისი სახელით მავანთა მიერ პოლიტიკური ქულების დაგროვებას და მით უფრო პოლიტიკური ან ყოფითი სარგებლის მიღებას. და არა მარტო იმიტომ, რომ მისთვის, როგორც ღირსეული კაცისთვის ეს მიუღებელია, არამედ იმიტომაც, რომ ეს მას უბრალოდ არ ჭირდება. ასეთ რამეზე პოლიტიკოსმა შეიძლება თვალები დახუჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მათი სახით საყრდენი დასჭირდება. ბატონ ე. შევარდნაძეს კი, ჩემის აზრით, ჯერჯერობით მაინც გამორჩეულად რომელიმე პარტიაზე დაყრდნობა არ უნდა აწყობდეს, რადგან საქართველოში დღესდღეობით არ არსებობს ისეთი მძლავრი პოლიტიკური პარტია, რომლის მხარეზე აშკარად დგომა სხვა პოლიტიკური პარტიების მხრიდან მისდამი დამოკიდებულების მკვეთრად გაუარყოფითების ფასად ღირდეს. არადა ასეთი რამის ალბათობა დიდია. ყველას თუ არა პოლიტიკური პარტიების უდიდეს ნაწილს კარგად აქვს შეგნებული, რომ საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ბატონ ედუარდ შევარდნაძის ყოფნა არათუ სასურველია, აუცილებელიცაა და ამიტომ ძნელი წარმოსადგენია ახალი პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე მას ვინმე მოცილე გამოუჩნდეს.

ასეთ ვითარებაში ბატონ ე. შევარდნაძის სახელმწიფოს სათავეში გამაგრება-შენარჩუნებაზე დემოკრატიული კავშირის ვითომცდა გულმოდგინე ზრუნვა, არამკითხული ქომაგობა კაცისა, რომელსაც ის აღარ სჭირდება და რომელიც თავისი უზარმაზარი საერთაშორისო ავტორიტეტით, შესაშური პოლიტიკური ალღოთი და იმ დიდი საგარეო პოლიტიკური გამარჯვებებით, რომელიც მან საქართველოს მოაპოვებინა მისი დამოუკიდებლობის საყოველთაო აღიარების სახით, არცთუ ღირსეული საქციელია. რაც შეეხება მათ მცდელობას, გამოიყენონ ბატონ ე. შევარდნაძის სახელი თავისი ვიწროპარტიული მიზნებისათვის, ვფიქრობ ის დამარცხებისთვისაა განწირული. მით უფრო, რომ თუკი ვინმეა დღეს არჩევნების ჩატარების მომხრე, ეს პირველ რიგში სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეა.

მართლაც, თუ არ ჩავთვლით დემოკრატიულ კავშირთან ალიანსში მყოფ საქართველოს სამართლიანობის პარტიას, ამ წინადადებაზე აშკარა თანხმობა არცერთ სხვა პოლიტიკურ პარტიას არ განუცხადებია. თუმცა ის, რა მიზნითაც ეს წინადადებაა წამოყენებული, ორ-სამ სხვა პარტიასაც აძლევს ხელს.

მაინც რა მიზანს ემსახურება დემოკრატიული კავშირის მიერ შემოთავაზებული (უფრო სწორად შემოგდებული) რეფერენდუმის ჩატარების წინადადება?

საქმეში ოდნავ ჩახედული კაციც კი ადვილად შეამჩნევს, რომ ეს არის სახელმწიფო საბჭოსათვის ლეგიტიმურობის მინიჭების ცდა და ამას დემოკრატიული კავშირის თანათავმჯდომარე ბატონი ავთანდილ მარგიანი არც მალავს. ერთ-ერთ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ საჭიროა სახელმწიფო საბჭოს ლეგიტიმიზაცია რეფერენდუმის ჩატარების გზით.

იმ დროს, როცა პარლამენტის არჩევნებამდე სულ რაღაც ორთვენახევარია დარჩენილი, რეფერენდუმის ჩატარების დაჟინებული მოთხოვნა ეჭვის აღმძვრელია.

ვის ჭირდება რეფერენდუმის ჩატარება და რა მიზნით?

განა ჩვენი ჯიბეცარიელი სახელმწიფოსათვის რეფერენდუმის მომზადება და ჩატარება, რომელსაც არანაკლები დრო, შრომა და ფული ჭირდება, ვიდრე პარლამენტის არჩევნების მომზადება-ჩატარებას, ერთობ დიდი ფუფუნება არ იქნება?

ესეც არ იყოს, ხალხის მხრიდან მხარდაჭერის ქონა-არქონის ხარისხის დასადგენად, თუკი, რეფერენდუმის ჩატარების სურვილი ამ უწყინარი მიზნითაა ნაკარნახევი, სულაც არაა აუცილებელი ძვირადღირებული რეფერენდუმის ჩატარება. ამისათვის არსებობს საგანგებო სოციოლოგიური სამსახური და ბოლოსდაბოლოს არსებობს პოლიტიკური დღევანდელობა, რომლის არგათვალისწინება არა მგონია მავანთა გამჭრიახობაზე მეტყველებდეს.

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, რეფერენდუმის ჩატარების მიზანს დემოკრატიული კავშირის თავკაცები აღარც მალავენ. რეფერენდუმის გზით მათ სურთ სახელმწიფო საბჭოსთვის ლეგიტიმურობის მინიჭება.

მაგრამ სახელმწიფო საბჭო მიუხედავად მისი არალეგიტიმურობისა 4 თვეზე მეტია დე ფაქტო ისედაც ასრულებს საკანონმდებლო ორგანოს მოვალეობას და არც მომავალ ორ თვეში გაუჭირდება

მე დიდი ხნის ურთიერთობა მაკავშირებს ბატონ გურამ მამულიასთან და კარგად ვიცნობ მას. ვიცი, რომ რასაც ამბობს, გულწრფელად ამბობს და სჯერა, რომ ჩვენი სამშობლოსათვის სწორედ ესაა ახლა საშური, და რაც მთავარია თვალებში ნაცარს არ გვაყრის. მაგრამ ამას ვერ ვიტყვი დემოკრატიული კავშირის სხვა თავკაცებზე (უწინარესად კი ბატონ ავთანდილ მარგიანზე) და მის ზურგს უკან მდგომ ძალებზე, რომელთა ძირითად ნაწილს, პოლიტიკურ წრეებში „ვარდისფრებად“ მონათლული კომპარტიის ყოფილი ფუნქციონერები და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული ჯგუფები დგანან.

აქაოდა, კომპარტიის ფუნქციონერები დიდი გამოცდილების მქონენი არიან და ისინი ჩვენ გვჭირდებაო, საქართველოს მთავრობაში თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა კვლავ ისინი მოაკალათეს და რა გასაკვირია, რომ მათ ხელისუფლების დათმობა არ სურდეთ. მე მესმის, რომ მათ შორის არიან ღირსეული ადამიანებიც, მაგრამ თუ გამოცდილებაზე მიდგა საქმე, მათ მნიშვნელოვან ნაწილს ისეთი რამის გამოცდილებაც გააჩნია, რაც არა გვგონია ჩვენი სახელმწიფოს მშენებლობისა და უმძიმესი სამეურნეო ვითარებიდან თავის დაღწევის საქმეში წაგვადგეს.

არჩევნებში გამარჯვების დიდი შანსი, ცხადია, „ვარდისფერებს“ არა აქვთ. თუმცა სამართლიანობის პარტიის თავმჯდომარემ ბატონმა გოდერძი ველიჯანაშვილმა თავდაჯერებულად განაცხადა, რომ ჩვენი ბლოკი გაიმარჯვებს და პარლამენტში 100 კაცამდე გვეყოლებაო, არა მგონია დემოკრატიული კავშირის რეალისტი თავკაცებიც, რომლებთანაცაა სწორედ ბლოკში შესული სამართლიანობის პარტია, ასე ფიქრობდნენ. მათ კარგად იციან რომ დღესდღეობით ჩვენი ქვეყნის არცერთ პარტიას, არცერთ ბლოკს არ შესწევს მომავალ არჩევნებში პარლამენტში ადგილების არათუ ნახევარზე მეტის, მეოთხედის მოპოვების უნარი. ამიტომ ბუნებრივია „ვარდისფერ“ პარტიებს და შესაძლოა იმ არავარდისფერ პარტიასაც, რომელსაც დღეს ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი სავარძლები აქვთ დაკავებული, ხელთ აძლევთ პარლამენტის არჩევნების არჩატარება, თუკი უახლოესი 3—5 წლის მანძილზე ხელისუფლების შენარჩუნება სახელმწიფო საბჭოსთვის მეტნაკლები ლიგიტიმურობის მინიჭების გზით მოხერხდა.

აი ეს არის უმთავრესი მიზეზი იმისა,

თუ დემოკრატიული კავშირი და მისი თანამდგომი პარტიები პარლამენტის არჩევნების არჩატარებას მიელტვიან, დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა ერთი ნაწილი მის ბოიკოტს აპირებს. არჩევნების არჩატარების მოსურნეთა გასაგონად უნდა ვთქვა — პარლამენტის არჩევნების ჩაშლის, ცდა რა სახითაც და ხერხითაც არ უნდა ხორციელდებოდეს იგი, საქართველოს მტრობის ტოლფასია. და ამას ისტორია არავის აპატიებს.

**აბესალომ ტუღუში**

---

# „დემოკრატიული კავშირი“ მოდას არ ჩამორჩება

**6 ივნისს, ორშაბათს, დილის ათ საათზე ადიგენის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტში შეიჭრა თხუთმეტი-ოცი ადამიანი და ე.წ. „დემოკრატიული კავშირის“ ადიგენის განყოფილების სახელით მოითხოვეს გამგებლის გადადგომა; მოიტაცეს გამგეობის სახელმწიფო მანქანა, დარეკეს თბილისში სახელმწიფო საბჭოში და აცნობეს, რომ ხელისუფლება რაიონში აღებულია მათ მიერ.**

**ეს ხდება იმ დროს, როდესაც წალენჯიხაში მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა მხედრიონსა და ექსპრეზიდენტის მომხრეებს შორის.**

**ადიგენში კი მოვლენები ასე ვითარდებოდა: გამგეობის შენობასთან თავი მოეყარა გამგებლის მომხრე მოსახლეობას, მათ მიერ გამგებლის კაბინეტიდან გამოძევებულ იქნენ „დემოკრატები“, ყველა ღონე იქნა ნახმარი ადიგენის სახალხო ფრონტის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ადიგენის განყოფილების და მერაბ კოსტავას საზოგადოების ადიგენის განყოფილების წარმომადგენლების მხრიდან, რომ დაპირისპირება შეჯახებაში არ გადაზრდილიყო. ადიგენის შ/ს განყოფილებამ ოპერატიულად დააბრუნა უკან სახელმწიფო მანქანა და დაიწყო გამოძიება. თბილისში სახელმწიფო საბჭოს და მთავრობის ყველა ინსტანციამ, რომელსაც დავუკავშირდით, ცალსახად დაგმეს „დემოკრატიული გადატრიალება“ რაიონში, მოითხოვეს საქმის გამოძიება და დამნაშავეთა დაპატიმრება.**

**„დემოკრატიული კავშირის“ ადიგენის განყოფილება მაისში ჩამოყალიბდა. მასში გაერთიანდნენ კომუნისტური პარტიის ყოფილი ფუნქციონერები, ექსპრეზიდენტის ყოფილი მომხრეები, წელმომაგრებული კოოპერატორები და სხვა ადამიანები, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონიათ ეროვნულ მოძრაობასთან. როდესაც იქმნება ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია, ყოველთვის საინტერესოა, რა მიზანი აქვს მას. „დემოკრატთა კავშირის“ ადიგენის განყოფილების წარმომადგენლები არ მალავენ თავისი „ბრძოლის“ მიზანს და ხმამაღლა აცხადებენ, რომ მათი დიპლომები უქმადაა და მათ სურთ თანამდებობები. „დემოკრატთა“ ლიდერმა ჯერ კიდევ თებერვლის თვეში მოსთხოვა გამგეობის თავმჯდომარეს ადიგენის საკონსერვო ქარხნის დირექტორობა. როდესაც უარი მიიღო, თავისი ურთიერთობა გამგებელთან პირადულ ბრძოლაში გადაიყვანა, მაისში კი „დემოკრატიული კავშირის“ ჩამოყალიბების შემდეგ „ბრძოლას“ მიეცა პოლიტიკური ელფერი „დემოკრატიის“ ლოზუნგის ხშირი გამოყენებით.**

**შექმნის დღიდან „დემოკრატიული კავშირის“ ადიგენის განყოფილება და მანამდეც ახლანდელი მისი აქტიური წევრები, ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ რაიონში დესტაბილიზაციისათვის, არ ერიდებიან ათასნაირი დეზინფორმაციის გავრცელებას რაიონის ხელმძღვანელობის შესახებ. მათ უჩივლეს გამგეობის თავმჯდომარეს სახელმწიფო საბჭოში. გამოიყო სახელმწიფო საბჭოს და მთავრობის კომისია „დემოკრატთა“ უსუსური პრეტენზიების შესასწავლად, მაგრამ „დემოკრატები“ არც ამ კომისიის მუშაობის შედეგს ელოდებიან.**

**6 ივნისს, დღის მეორე ნახევარში მესხეთის რეგიონში სახელმწიფო საბჭოს რწმუნებულის მოადგილის და გამგეობის წევრების თანდასწრებით მოხდა რაიონის პოლიტიკურ ორგანიზაციათა შეხვედრა, ამ შეხვედრაზე ხმამაღლა ითქვა, რომ „დემოკრატიული კავშირის“ ადიგენის განყოფილების მოქმედებები არ შეესაბამება პოლიტიკური ბრძოლის მეთოდებს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ადიგენის განყოფილების თავმჯდომარემ დასვა საკითხი, რომ რაიონში ჩამოყალიბდეს პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭო. ამ წინადადებას ადიგენის რეგიონალური ფრონტის სახელით მე მხარი დავუჭირე, კოსტავას საზოგადოების წარმომადგენლებმა თანხმობა განაცხადეს ამ საკითხის ირგვლივ მოლაპარაკების თაობაზე, „დემოკრატებს“ კი არავითარი პოზიცია არ გამოუხატავთ და თავიანთი მოქმედების სისწორეში დარწმუნებულებმა, დატოვეს კაბინეტი. თბილისში ჩამოსვლისას კი მთავრობაში დამხვდა მათი დეპეშა მთავრობის მეთაურის, ბატონ თ. სიგუას სახელზე კიდევ ერთი დეზინფორმაციით, თითქოს 6 ივნისს ადიგენში მომხდარი ამბავი გამგეობის თავმჯდომარის მიერ პროვოცირებული [illegible]მება. ასეთია სკამებისათვის მებრძოლი „დემოკრატების“ მეთოდები.**

**6 ივნისის მათ საქციელს კანონი მისცემს [illegible]ბას. მე კი ამ წერილის დასასრულს მინდა [illegible] მთლიანად საქართველოს მასშტაბით შექმნილი „დემოკრატიული კავშირის“ ბრძოლის მიზანი და მეთოდები ყველგან ერთი და იგივეა, საჭიროა ამაზე ხმამაღლა ითქვას და მიეცეს დროული პოლიტიკური შეფასება.**

**ბიძ[illegible]**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხის „მტერი“

გასულ წელს ქართველ ინტელიგენტთა ერთ ნაწილს შავი დღე ადგა. მეზობლებში, ნათესავებში, ნაცნობებსა და უცნობებში უნდა ემტკიცებინათ, რომ სამშობლოს მოღალატენი, კრემლის აგენტები და ხალხის მტრები არ იყვნენ.

ერთ მშვენიერ დღეს მოსწყინდა ამ ხალხს ამ დაუმსახურებელი ეპითეტების მოსმენა და სოფელ-სოფელ, რაიონიდან-რაიონში დაიწყეს სიარული, რათა ხალხისათვის სიმართლე ეთქვათ. ხალხოსნებივით მოედვნენ სოფლებსა და რაიონულ ცენტრებს, რადგან იქ მათ შესახებ რადიოს, ტელევიზიას, სამთავრობო პრესას მათი მაკომპრომეტირებელი შეთხზული ცნობები ჩაჰქონდა.

ჩადიოდნენ და ამბობდნენ, აჰა, მოვედით ხალხნო, დაგვიჯერეთ არა ვართ ხალხის მტრები, არა ვართ კრემლის აგენტები, არა ვართ სამშობლოს მოღალატენი!

ჩვენ კი არა, თქვენი მთავრობაა სინდისგარეცხილი და გამოიღეთ ყურიდან ბამბაო!

თითო-ოროლა კაცი მართლა იღებდა ბამბას ყურიდან. უმრავლესობა კი ქვასა და კეტს იმარჯვებდა ხელთ. პაიტ, ეს ქრისტეს ფეხის მკვნეტელები, მამას და მარჩენალს გვილანძღავენ, უნდათ რომ ჩვენც გაგვაუბედურონო და იყო ერთი გაწევ-გამოწევა და გნიასი.

ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. „ხალხოსანთა“ ჯგუფის ბევრი უცნობი წევრი საერთო ბედმა მჭიდროდ დააკავშირა და დაამეგობრა. ერთ-ერთი ასეთი „ხალხოსნური“ გასვლის დროს გავიცანი პირადად მანამდე თავისი სამსახიობო ხელოვნებით ცნობილი გოგი ხარაბაძე.

იდგა რაიონის პრეფექტი, ბავშვობიდან სიჭაბუკეში თითქმის ახლადფეხგადადგმული ვაჟი ტრიბუნაზე და თბილისიდან ჩასულ ცნობილ ადამიანებს ტუქსავდა.

ჩემს რაიონში ჩემი ნებართვის გარეშე რათ ჩამოხვედითო.

არასოდეს დამავიწყდება გოგის გაცეცხლებული სახე.

— ადამიანო, რამდენი წლისაც ხარ იმდენი პრემია მაქვს მიღებული, ჩემს მიწა-წყალზე, ჩემს ხალხთან მოსვლისა და დალაპარაკების უფლებას სხვას უნდა ვთხოვდეო?

— კარგი ახლა, გოგი, რამ გადაგრია, შე კაცო. ეგ პრეფექტი რცხილაძის ბიჭშვილი იქნება, იმანაც ფეხზე იცისო — ამშვიდებდა თამაზ წივწივაძე.

ერთი სიტყვით, ეს ჩვენი „ხალხის მტერი“ ხარაბაძე იმ დღიდან გავიცანი და დავმეგობრდით.

მე რომ კრემლის აგენტი „მეგონა“, იმ იმპერიალისტური კრემლის დაუძინებელი მტერი აღმოჩნდა.

მე რომ ხალხის მტერი „მეგონა“ — ის კაცი შემრჩა ხელთ პერანგს რომ გაიხდის და სხვას ჩააცმევს.

მე რომ სამშობლოს მოღალატე „მეგონა“ — ქაქუცა ჩოლოყაშვილის საფლავზე მამულისათვის სანთელით ხელში მლოცველი კაცი ყოფილა.

თავისი უბრალოებითა და ცხოვრების ლაღი წესით მე რომ ჩემი კბილა მეგონა, კაცს ნახევარი საუკუნე მოულევია.

ჩვენი რედაქციის სახელით ვულოცავ გოგი ხარაბაძეს მაღალ კაცსა და პროფესიონალს, დამწყებ საიუბილეო თარიღს...

ნოდარ ბრიგალაშვილი



# ჩემი მეგობარი გიორგი

ხარაბაძე ჯიუტია.

შეუპოვარი.

ჯიქური.

მან ჯიუტად გაიტანა თავისი შემოქმედება, ოღონდ ეს სიჯიუტე ვინმეს ხარჯზე კი არა, საკუთარი პიროვნების, საკუთარი თავის, საკუთარი ენერგიის ხარჯზე გაიტანა.

მან შეუპოვრად იარა ჩვენს რთულ და ოღროჩოღრო გზებზე, ჯერ თავისი თავი დააჯერა იმაში, რომ ის ვერ ჩაეტეოდა იმ ჩარჩოებში რასაც მას თავაზობდა ცხოვრება, რომ მას სხვა პოტენცია და სხვა მისია ქონდა შესასრულებელი.

ვერ ვიტყვი, რომ თავიდან ადვილად აეწყო ის ცხოვრება, რასაც დღეს ჩვენ ვუყურებთ.

ის გასცდა ჩვეულებრივ პროფესიას, რასაც მსახიობობა ჰქვია (არადა ეს არც ისე უბრალო და იოლად მისაღწევია!) და იქცა პიროვნებად, უფრო სწორად მოქალაქე-მსახიობად და თანდათანობით ჩვეული სიჯიუტით და შეუპოვრობით დაიმკვიდრა თავისი კონკრეტული ადგილი, თავისი გვარი და სახელი, რასაც გოგი ხარაბაძე — გიორგი ხარაბაძე ჰქვია!

გოგი ელაპარაკება ხალხს ილიას, აკაკის, ვაჟას, დავით კლდიაშვილის ენით — ესაა მისი პოზიცია; მისი მყარი ადგილი ქვეყნის ისტორიაში. იგი აქტიური შემოქმედია, ვერ ისვენებს, ბორგავს, ამისთვის ის არ იყენებს ნახევარ ტონებს, ამბობს პირდაპირ, ხმამაღლა (თუმც თამაშის და კითხვის დროს თითქმის ჩურჩულებს).

თითქოს არ შეიძლება მეგობარზე იხმარო სიტყვა „პატივისცემა“ ვინაიდან ეს მანძილს ქმნის ერთმანეთში, მაგრამ ეს ასეა!

ის იმსახურებს უდიდეს პატივისცემას და ამავე დროს გეუფლება უდიდესი სიამაყის გრძნობა, რომ ეს შენი ნაწილია, სულის ნაწილი, სისხლი და ხორცი. მას ხშირად ადარებენ სერგო ზაქარიაძეს, ამბობენ ძალიან გავსო, სწორედ იმ სიჯიუტით და შეუპოვრობით გავსო, როცა მას თეატრში მისი ენერგიის ტოლფასი სამუშაო არ აღმოაჩნდა, კი არ ამოვარდა ფორმიდან, კი არ დაიწყო წუწუნი, ქილიკი, სერგოსავით ჩაუჯდა ქართულ სიტყვას, ქართულ აზრს, ქართულ მწერლობას, ამ სიბრძნის უძირო ჭას და მომძლავრდა, მომაგრდა და მყარად გაიდგა ფესვები ქართულ მიწაში.

კიდევ რა!

ამ თითქოს თამამ, მორიდებულ და ჯიქურ კაცს დღემდე, 50 წლამდე შერჩა გაწითლების უნარი. მე მგონია, რომ მე ვიცი და სხვამ არავინ იცის ის, რომ საოცრად მორცხვია, ფაქიზი და მორიდებულიც. საერთოდ მასთან მეგობრობის და სიყვარულის დროს, დიდი მოთმინებაა საჭირო, ვინც მოითმენს, ვინც გაუძლებს, ის ბოლომდე გაუგებს მას და მის შემოქმედებას.

გოგი ქავთარაძე

# სახელმწიფო — ეს ჩვენ ვართ!..

„სახელმწიფო თქვენ მეწველი ძროხა ხომ არ გგონიათ?!“
ნოდარ დუმბაძე „თეთრი ბაირაღები“

ამასწინათ მატარებლით „თბილისი-ხაშური“ მომიხდა მგზავრობა. აქ არ შევუდგები იმ პერიპეტიების აღწერას, რაც ამ მგზავრობას ახლდა თან (კაცმა არ იცოდა, ზუსტად როდის გავიდოდა მატარებელი, საიდან გავიდოდა... იყო ხალხის წინ და უკან სირბილი ბაქნებზე, შემდეგ ერთი ორომტრიალი ასვლაზე, ბრძოლა — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — დასაჯდომი ადგილებისათვის)... ეს ყველაფერი ყველასათვის კარგადაა ცნობილი, ვისაც ერთხელ მაინც უმგზავრია ამ (და სხვა) საგარეუბნო მატარებლით შაბათ-კვირას.

კალამი სხვა გარემოებამ ამაღებინა ხელში.

ის იყო, კასპს გავცდით, რომ ვაგონში რევიზორი გამოჩნდა (სხვათა შორის, მის რევიზორობაზე მხოლოდ რკინიგზელის ქუდი თუ რკინიგზელის ქუდისმაგვარი ქუდი მეტყველებდა).

როგორც ცნობილია, მატარებელში რევიზორის მოვალეობა-დანიშნულებას მგზავრთა ბილეთების შემოწმება წარმოადგენს.

.მ ჩვენმა რევიზორმაც დაიწყო ბილეთების შემოწმება.

თუმცა, შემოწმებას კი ვამბობ, მაგრამ სად იყო შემოწმება!

თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, თითქმის მთელი ვაგონი უბილეთო მგზავრებისაგან შედგებოდა.

ასეთ შემთხვევაში — უბილეთო მგზავრის „გამოჭერის“ შემთხვევაში, რევიზორმა იგი უნდა დააჯარიმოს ანუ მგზავრობის ღირებულებაზე კიდევ უფრო მეტი თანხა გადაახდევინოს. ეს აქტი (ქვითარი) ორ ეგზემპლარად ფორმდება, ერთი რევიზორს (და მისი მეშვეობით სახელმწიფოს) რჩება, მეორე დაჯარიმებულს ბარდება.

ასეთია წესი.

აქ კი, ყველაფერი ერთობ „უწესოდ“ ხდებოდა. საიდან და სად მიდიხარო, თავაზიანად შეეკითხებოდა კანონის გუშაგი არცთუ შეშინებულ უბილეთოს და პასუხის შემდეგ თანხას უსახელებდა. ეს უკანასკნელიც ჩაუთვლიდა ფულს (ზოგს წინასწარ გამზადებული ეჭირა ხელში ბილეთივით), რევიზორი ჩაიჯიბავდა (პირდაპირი მნიშვნელობით) და... ამით მთავრდებოდა კიდეც „ჯარიმის“ აქტი, — რა გაფორმება, რის ქვითარი!..

ერთი სიტყვით, შემმოწმებელ-შემოწმებული მშვიდობიანად, ტკბილად შორდება ერთმანეთს.

დიახ, ყველაფერი კარგად მთავრდება.

კარგად ამ ორი მხარისათვის — უბილეთო მგზავრისა და რევიზორისათვის — პირველი იხდის არა ჯარიმას, არამედ ბილეთის ღირებულებას (თანაც, ხომ შეიძლება სულ არ ამოვიდეს რევიზორი და ეს ღირებულებაც შეგრჩეს!), ხოლო მეორე სად წაიღებს ამ ფულს, სახელმწიფო ხაზინაში თუ სახლში, ვფიქრობ, ამას დიდი მკითხაობა არ სჭირდება!..

მაგრამ, ამათ გარდა, არის კიდევ ერთი, მესამე მხარე, რომელზეც ეს ტკბილი, კარგი ფინალი მეტად მწარედ, ცუდად მოქმედებს.

მიხვდით, რასაკვირველია, რომელ მხარეზეცაა ლაპარაკი.

დიახ, სახელმწიფო მყავს მხედველობაში. ის თანხა, ამ ჩვენმა უბილეთო მგზავრებმა რკინიგზის სალაროების მაგივრად რევიზორის ოჯახში რომ შეიტანეს, სახელმწიფოს დააკლდა.

თანხა კი კაი გვარიანია — „ხელზე გადახდის“ მეთოდით ხომ ასობით ადამიანი მგზავრობს ყოველდღიურად მატარებლებით, საქალაქთაშორისო ავტობუსებით...

სახელმწიფოსაც ხომ გააჩნია: გალატაკებულ, ეკონომიკური კატასტროფის ზღვარზე მყოფ სახელმწიფოს, სხვა ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ფულის ნიშნების სიმცირის გამო თვეობით რომ ვერ ახერხებს ხელფასების, პენსიების გაცემას...

არადა, ყველა სახელმწიფოს მიშტერებია პირდაღებული — ხელფასები გაგვიზარდეო, ბიუჯეტში ჩაგვსვიო, გადასახადები შეგვიმცირ-მოგვიხსენიო... ერთი სიტყვით, ვცდილობთ, რაც შეიძლება მეტი გამოვართვათ...

მიცემით — რაც შეიძლება ნაკლები მივცეთ — ნაკლები შრომითი დანახარჯების, ნაკლები გადასახადების და ა.შ. სახით...

არადა, სახელმწიფო რაღაც გაურკვეველი, მართლაც უსახო და უსაგნო აბსტრაქცია როდია, რომელსაც არც არაფერი ემატება და არც არაფერი აკლდება ჩვენი აუღებელი ბილეთის, გადაუხდელი დენის და ა.შ. ფულით, უხარისხო შრომით. იგი ისევ ჩვენ ვართ, ჩვენით არსებობს და ჩვენთვის (უნდა) არსებობდეს. და მისთვის „ჭკვიანურად“ თუ „უჭკუოდ“ დამალულ-დაკლებული თანხა თუ ენერგია საბოლოო ანგარიშით ისევ ჩვენ, ხალხს — ყველას ერთად და ცალ-ცალკე — აზარალებს.

ამას გარდა, არის კიდევ ერთი „ნიუანსი“.

თუ ადრე სახელმწიფოს (საბჭოთა სახელმწიფოს) მოტყუება კიდევ გასაგებ-მისატევებელი იყო (იგი ხომ ჩვენთვის უცხო, მიუღებელ, მტრულ ძალას წარმოადგენდა და რაც უფრო წავუკრავდით დასანგრევად ხელს მით უკეთესი!), დღეს ამ მხრივ კარდინალურად სხვაგვარი ვითარებაა. შენდება, ასე ვთქვათ, საკუთარი, „შინაური“ სახელმწიფო, რომელიც ასევე კარდინალურად სხვაგვარ, ახლებურ დამოკიდებულებას მოითხოვს თავისი მოქალაქეების მხრიდან.

ეს ახალი, სხვანაირი დამოკიდებულება კი ჯერ მოქალაქის (დიახ, ბოლოსდაბოლოს, დროა, თავი მოქალაქეებად ვიგრძნოთ!) ფსიქოლოგიის, „სახელმწიფო განწყობის“, უფრო ზუსტად, უცხო, მატყუარა, მტრული სახელმწიფოსადმი გაუცხოებულ, მოტყუებაზე, მტრულ განწყობაზე მომართული ფსიქოლოგიის ძირეული გარდაქმნა-გარდატეხით უნდა დაიწყოს.

იმის გაცნობიერებით, რომ ეს ქვეყანა, სადაც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ, „ის აღარაა“, სადაც აქამდე ვცხოვრობდით, რომ ეს სახელმწიფოა, ჩვენი სახელმწიფო, ჩვენი საქართველო!..

და მისდამი ძველებური დამოკიდებულება — როგორც სხვისი, სხვა სახელმწიფოსადმი — მოტყუებაზე, ეშმაკობაზე, დაკლება-წაგლეჯაზე აგებული დამოკიდებულება აღარ გამოგვადგება, ასე არ (ვერ) აშენდება ის დამოუკიდებელი, თავისუფალი, ეკონომიკურად და სულიერად ნორმალური სახელმწიფო, რომელიც ყველას ასერიგად გვწყურია!

* * *

ეკონომიკური წარმატების, სასწაულის მაგალითად ხშირად მოჰყავთ და სწორადაც მოჰყავთ იაპონიის მაგალითი. ამ დროს ხაზგასმით აღინიშნება ხოლმე იაპონელთა შრომისმოყვარეობა, საქმისათვის თავდადება, დაძაბული, ქანცგამწყვეტი შრომა და სხვ.

მაგრამ მარტო ამით არ მიუღწევიათ იაპონელებს განსაკუთრებული შედეგებისთვის.

იაპონელებს საერთოდ და თითქმის ყოველ ცალკე აღებულ იაპონელს სისხლში აქვს გამჯდარი, გამომუშავებული სახელმწიფოებრიობის, სახელმწიფო პატრიოტიზმის (დიახ, სახელმწიფო პატრიოტიზმის და არა უბრალოდ, „საერთოდ“ პატრიოტიზმის) გრძნობა.

და ამას გამოხატავენ, ამტკიცებენ ყველგან და ყოველთვის, ყოველდღიურ ცხოვრებაში.

იაპონელი თითქმის არასოდეს იყიდის არაიაპონურ ნაწარმს, პროდუქტს, თუნდაც იგი სამამულო ნაწარმზე უკეთესი და იაფიც იყოს.

არ იყიდის, რამეთუ, ყოველმა იაპონელმა, დიდმა თუ პატარამ, კარგად იცის, კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ამ შემთხვევაში მისი, იაპონური ფული, იაპონიიდან გავა, სხვაგან გავა და მის ქვეყანას, მის ძლიერებას მოაკლდება.

ამიტომ ყიდულობს მხოლოდ სამამულო ნაწარმს, თუნდაც იგი უცხოურზე უარესი და ძვირიც იყოს, რამეთუ ყოველმა იაპონელმა, დიდმა თუ პატარამ, კარგად იცის, კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ ამ შემთხვევაში მისი, იაპონური, ფული იაპონიიდან არ გავა და მის ქვეყანას, მის ძლიერებას არ მოაკლდება!..

ამასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო ფაქტი უნდა მოვიყვანო: ამ რამდენიმე წლის წინ, როცა განსაკუთრებით გაძლიერდა ამერიკა-იაპონიის სავაჭრო წინააღმდეგობანი, პრემიერ-მინისტრმა ნაკასონემ ტელევიზიით მოუწოდა თანამემამულეებს, ბოიკოტს ნუ გამოუცხადებთ ამერიკულ საქონელს, ხანდახან მაინც იყიდეთ რაღაც-რაღაცეებიო, და მაგალითიც უჩვენა — რეპორტიორთა თანხლებით გაემგზავრა ტოკიოში მდებარე ერთ-ერთ ამერიკულ მაღაზიაში და პერანგი და ფეხსაცმელები შეიძინა.

როგორც აღმოჩნდა, ტყუილად გაისარჯა პრემიერ-მინისტრი.

დამჯერმა და დისციპლინირებულმა იაპონელებმა ამჯერად არ დაუჯერეს წინამძღოლს და არ მიბაძეს მის მაგალითს!..

ხომ მართლაც მრავლისმეტყველი და მრავლისამხსნელი მაგალითია?!..

* * *

ასე რომ...

ფელიქს კოჟიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზაურ კალანდია:

# ისეთი საქართველო ვინატროთ...



**— ბატონო ზაურ, როგორ შეაფასებდით საქართველოში ამჟამად არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ვითარებას?**

— კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანი არის მთელი საქართველო და მტრები კი ყვავ-ყორანიო, ღვთაებრივი აკაკის სტრიქონები ყველას გვახსოვს. ეს მაშინდელი (აკაკისდროინდელი) საქართველოს ზუსტი, დიაგნოსტიკური განსაზღვრაა და, რა ბედნიერებაა (ალბათ, ბუნებრივიც), რომ ერის სულიერი მოძღვარი მომდევნო სტროფში ასე იმედიანია, ურყევი ოპტიმისტი, რომელსაც მტკიცედ სწამს: გმირთაგმირი ამირანი აიწყვეტს და მომავალი სიხარულით შეეცვლება. დღეს რა მდგომარეობაშია საქართველო, ისევ კავკასიის ქედზეა მიჯაჭვული თუ უკვე აიწყვიტა?.. აწყვეტით, შეიძლება, მართლაც აიწყვიტა ან, უფრო სწორად, ჯაჭვ-ბორკილი ჟამმა შემოაფლითა, ხელ-ფეხი გაუთავისუფლა, მაგრამ მეჩვენება, რომ ეს უკვე აკაკის ამირანი აღარაა. დღევანდელი საქართველო-ამირანი გათვალულს ჰგავს, ნარკოტიზებულს თუ მცონარობით ხერხემალგამრუდებულს, საკუთარი სხეული ფეხებმოწყვეტილივით ემძიმება...

საქართველო გაწყდა წელში... საქართველო ტექტონიკური ხასიათის აისბერგებად იხლიჩება, რომლებიც, სამწუხაროდ, ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში იწყებენ მოძრაობას და, თუ ასე გაგრძელდა, საქართველო საბოლოოდ საქართველოს წინაშე აგებს პასუხს და არა აზრთა სხვადასხვაობის გამო, როგორც ბევრი ფიქრობს და ჰგონია...

**— ალბათ, ბევრს ახსოვს თავის დროზე ლიტერატურულ გაზეთში დასტამბული თქვენი შესანიშნავი წერილი „სანამ ილია ზუგდიდს ჩამობრძანდება...“, აგრეთვე, გასული წლის გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილი თქვენი მიმართვა დედაქალაქში პრეზიდენტის დასაცავად ჩამოყვანილი ზუგდიდელებისადმი და, საერთოდ, სხვა მრავალი პუბლიკაცია თუ ზეპირი გამოსვლა მიგიძღვნიათ სამეგრელოში არსებული პრობლემებისადმი, როგორც საქართველოს ამ ძირძველი კუთხის ღვიძლ შვილს, სისხლს სისხლთაგანსა და ხორც ხორცთაგანს. რას გვეტყვით, რა მდგომარეობაა დღეისათვის სამეგრელოში?**

— ორი რადიკალურად განსხვავებული აზრია გამოთქმული თქვენს მიერ ნახსენებ წერილებში და, ცხადია, რეაქციაც სხვადასხვანაირი იყო, მაგრამ დღესაც მწამს, რომ არამარტო გულწრფელი, მართალიც ვიყავი. მე სამეგრელო შვილის სუნთქვაზე მეტად მიყვარს და ესაა გაცხადებული პირველ წერილში, მაგრამ როცა ამ ავბედით დღეებში ე.წ. „მიმართვაში“ მის ნაკლზეც წამომცდა, ეს უკვე აღარ მაპატიეს. არადა, რას ვამბობდი შარშან, ოქტომბერში, თქვენი გაზეთიდან? სამწუხაროდ, ასეც არ მოხდა?! მიუხედავად ამისა (რამეთუ გამსახურდიას უკეთ ვიცნობ, ვიდრე ბევრი ჩემი ზვიადისტი ნაცნობ-მეგობარი და ეს მათაც კარგად იციან), მაინც არ მჯეროდა, რომ ის 25 დეკემბერს იტყოდა: ხუთი კაციც რომ დარჩეს საქართველოში, მე მაინც მისი პრეზიდენტი ვიქნებიო. ეს ავადმყოფური განცხადება, სხვა არაერთ დანაშაულთან ერთად, გამსახურდიას ცოდვილ კისერზეა და, ადრე თუ გვიან, ისტორია საკადრის პასუხს გასცემს მას... უფრო მეტსაც ვიტყვი: ოქტომბრის თვეში ადამიანთა გარკვეული ნაწილის ჩამოსვლა პრეზიდენტის დასაცავად სამეგრელოდან და მათ მიერ ჩადენილი არაერთი უმსგავსობა გახდა მეტ-ნაკლები მიზეზი იმისა, რაც გვარდია-მხედრიონმა მოგვიანებით, ვითომ „წესრიგის დასაცავად“ განწესებულებმა ამ რეგიონშიც მოიმოქმედეს... მოკლედ, რა „ბედოვლათქზბიც“ იქიდან გვესტუმრნენ, იგივე „გმირები“ ჩაუვიდნენ და ეს არის ჩვენი ტრაგედია. ერთხელ უკვე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: ...სასტიკად და განურჩევლად ძარცვა სამეგრელოს ქალაქები და რაიონები სამმა კრიმინალურმა ჯგუფმა: ადგილობრივმა ქურდულმა სამყარომ, გამსახურდიას მომხრეებმა და გვარდია-მხედრიონმა... კი, ბატონო, ეს ყველაზე არ ითქმის, მაგრამ როცა ათიდან შვიდი ასე „მოღვაწეობს“, მეტი უბედურება რაღა გინდა! არადა, მართლაც გაწყდა ხალხი წელში... რა ქნას, რანაირად გაერკვეს და თავიც დააღწიოს მშვიდობიანმა მოსახლეობამ, სრულიად უდანაშაულო ხალხმა სხეულში ჩაბუდებულ შიშსა და უნდობლობას მოძმესადმი... მეტიც, ფსიქოზური სიძულვილის სინდრომს ერთმანეთისადმი (მისთვის სულერთია, ადგილობრივია ის თუ ჩამოსული!)... ჯერ კიდევ თებერვალში, საკოორდინაციო საბჭოზე ვიკითხე: შურლაია-ქობალია-ბახია-ჟორჟოლიანებზე ხომ არ გადავაყოლოთ. სამეგრელო-მეთქი?... არ ვიცი, რამდენად ეჭვიანი გავხდი, მაგრამ, ღმერთო შეგცოდე და, ისეთი შეგრძნება მაქვს, ამ ხელისუფლებაშიც ხომ არ აწყობს ვინმეს ჩვენი ასე არევ-დარევა და სისხლისღვრა?!.

**— თქვენი აზრით, რისი ბრალია ჩვენი საზოგადოების ორად გახლეჩა, მისი დიდი ნაწილის ასეთი საშინელი დეგრადაცია — დღე არ გავა, რომ გაუგონარი სადიზმით ჩადენილ ახალ დანაშაულზე არ შეგვატყობინონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა. რანაირი ზნეობრივი ორიენტირები უნდა დაისახოს ჩვენმა ხელისუფლებამ, თუნდაც მწერლობასთან თანამშრომლობით და რა უნდა გააკეთოს პრაქტიკულად, რომ ამ საშიში, კრიტიკული მდგომარეობიდან გამოიყვანოს ჩვენი გზასამცდარი თანამემამულენი?**

— ისევ და ისევ ჩვენი ბრალია... ჩვენ ჯერ კიდევ როდის დავკარგეთ სწორი ორიენტირი და, აქედან გამომდინარე, თითქმის ყველაფერს უკუღმა და უკუღმართად ვხედავთ... რუსთაველის გამზირი რომ დაინგრა და გადაიწვა, ვფიქრობ, არანაკლებ გაიქურდა იგი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ქუჩაში გამოსული თოფიანიც და უთოფოც თითქოს კლეპტომანიით იყო ავად, არ უ[illegible]ებოდა ტყვიას, ცეცხლმოკიდ[illegible]ულ შენობას, ოღონდაც რაიმე ფასეული აეწაპნა, ვიღაცისათვის რაღაცა წაერთმია... თუ ვინმე იფიქრებს, დეკემბერ-იანვარში რუსთაველის გამზირს სათოფეზე არ გავკარებივარო, მაინცდამაინც თავს ნუ დაიმშვიდებს. რუსთაველის გამზირზე არანაკლებადაა საქართველოს სხვა ქალაქები და რაიონები ჩვენს თვალწინ გაძარცული და დარბეული... და, თუ ასე გაგრძელდა, მოსალოდნელი დიქტატურიდან თავდაღწეულები, შეიძლება, მალე ტოტალურ კრიმინოგენურ ჭაობში აღმოვჩნდეთ.

არადა, ვაი სირცხვილო, ისე, ჩვეულებრივ, იძარცვება ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი და... ხმა არსაიდან. ისე, ჩვეულებრივ, ორმოც მილიონ სახელმწიფო ფულს იტაცებენ დღისით, მზისით შარაგზის ყაჩაღები და... განმკითხავი არავინაა. ჩვეულებრივ, ციმციმ მიარბენინებენ ორმოცდაათ კილოგრამზე მეტ პლატინას საწარმოდან და... ყურს არავინ იბერტყავს. ბანდიტს და ქურდს რას ერჩი, როცა „კანონიერების დამცველი“ შემოგივარდება სახლში და... თუ საინზე დაწყობილი მილიონები არ მიართვი, შეიძლება, ცოლშვილიანად ამოგჟუჟოს...

არადა, ქურდი და ნაძირალა გვაკლდა გარეთ, რომ ვინც „შინ“ იყო, ციხეში, ისინიც (ერთად იყონ, ფიროსმანისა არ იყოს — ერთი სამოვარი დაიდგან წინო) ქუჩაში გამოყარეს...

რა გვიშველის? ძნელია ამის თქმა. დღეს მწერლობა უძლურია. მას დიდი „პატივი სცა“ არშემდგარმა მწერალმა ექსპრეზიდენტმა...

**— ბატონო ზაურ, ამ ბოლო ორ წელიწადში მომხდარმა მოვლენებმა გარკვეულწილად თავლსაზრისი ხომ არ შეგაცვლევინათ ქართველებზე, მართლა განსაკუთრებულნი ვართ თუ?..**

— მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთა კატეგორიას, რომლებიც ფიქრობენ, რაღაც განსაკუთრებული მისია აკისრია საქართველოს კაცობრიობის წინაშე. ჩემი აზრით, ის არც სხვაზე მეტია და არც სხვაზე ნაკლები... ჩემთვის მთავარია, რომ ჩემი ხალხის წარსული, მისი კულტურა და მწერლობა, შემოქმედებითი ნიჭი, ჯიში და სიცოცხლისუნარიანობა მაძლევს იმის უფლებას, ორივე ფეხზე მყარად ვიდგე, თავიც მომწონდეს და, რაც მთავარია, ერის მომავლის მჯეროდეს. სხვანაირად, არც ღირს სიცოცხლე.

ჩვენ დღეს თავისუფლები ვართ, მთელმა მსოფლიომ გვცნო და ამას გაფრთხილება უნდა, დაფასებაც. მართალია, უფრო მეტად ჩვენს ნაკლზე ვილაპარაკე დღეს, მაგრამ გულწრფელად მწამს (სხვანაირად ღმერთმა ნუ ქნას!), რომ ჩემმა გონიერმა, ქანცგაცლილმა სამეგრელომ იცის, დენთის სუნი მშვიდობას ვერ მოუტანს, როგორც ვერ მოუტანს დღევანდელ ხელისუფლებას სულის სიმშვიდეს — მისი სამშობლოს, ქალაქისა და, თუ გნებავთ, საკუთარი სახლის იარაღის ძალით დაპყრობა-დამორჩილება!

დიახ, ასეა. რაც უნდა მოგვიმრავლდნენ ბანდიტური ჯგუფები, საქართველოს დაშლა-გადაშენება არ უწერია!

**— ცნობილი გახდა, რომ ჟურნალ „ცისკარის“ კოლექტივმა თქვენ მთავარ რედაქტორად აგირჩიათ. რას იტყვით ამ ჟურნალის პრობლემებზე?**

— რაც შეეხება „ცისკრის“ რედაქტორობას, დამერწმუნეთ, ამაზე არასოდეს მიფიქრია. მოხდა ისე, რომ ჩვენი მთავარი რედაქტორი, ბატონი დათო მაღრაძე კულტურის მინისტრად დააწინაურეს. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ (მანამდეც და, ჩემი „ცისკარში“ მუშაობის თოთხმეტი წლის მანძილზეც, უპრეცედენტო შემთხვევაა) დართო რედაქციის კოლექტივს უფლება რედაქტორი თავად აერჩია. აქ რედაქციის ზოგიერთმა თანამშრომელმა აშკარად გამათა-მამა და კენჭიც ვიყარე... ახლა, უკვე რედაქტორი, ვგრძნობ ამ მძიმე ტვირთს... ვნახოთ, დიდი სურვილი მაქვს, როგორც რედაქციის თანამშრომლებისა, ისე მწერალთა კავშირის გამგეობის ნდობა და თანადგომა გავამართლო... რაც შეეხება „ცისკრის“ პრობლემებს... ზემოთ რომ ვისაუბრეთ, იმ პრობლემებთან შედარებით არ მინდა გამიფერმკრთალდეს იგი.

**— ჩვენ ყველანი ისე გადავეშვით პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალში, ლამისაა საკუთარი საქმე და საკეთებელი დავივიწყოთ... რაზე მუშაობთ ამჟამად, რას უნდა ველოდოთ მომავალში?**

— ბოლო ორი-სამი წლის მოვლენებმა საქართველოში ნებისმიერი ქართველი კაცის გულზე დანასავით გაიარა... შემოქმედი კაცი კი, ალბათ, ყველაზე მეტად გრძნობს და განიცდის ამას. რა თქმა უნდა, არაერთი ბედნიერი წუთიც იყო, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის, ბედნიერებამაც იცის გულზე მძიმედ მოწოლა... ასეთ დროს მაგიდასთან ჯდომა და ლექსსა და მოთხრობაზე ფიქრი, ერთი მხრივ, დანაშაულია, მეორე მხრივ — გმირობის ტოლფასი. და მაინც, უნდა გამოვტყდე, ამ უმძიმეს ჟამსაც კი, მინდოდა თუ არ მინდოდა, ვცდილობდი ჩემი საქმიანობა არ დამევიწყებინა, საწერ მაგიდასთან თავს ხშირად „იძულებით“ ვიბამდი... სხვანაირად, მთლად გაფერმკრთალდებოდა ქვეყანა და... მაშინ, ერთადერთი სიკვდილს თუ მოინატრებ...

მოკლედ, ისეთი საქართველო ვინატროთ, როცა შენ, მე, ის... მხოლოდ საკუთარ საქმიანობაზე იფიქრებს და პატიოსნად იმოღვაწებს...

ესაუბრა
მიხო მოსულიშვილი

# მოვითხოვთ ხელისუფლებისაგან

დაგომისის შეთანხმების თანახმად ყოფილი სამხრეთ ოსეთისა და მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე უნდა შესულიყო შერეული შეიარაღებული ძალები რუსების, ოსებისა და ქართველების წარმომადგენლობით.

1992 წლის 16 ივლისს ქარელის რაიონის, ს. აგარის მხრიდან დაბა ყორნისში (ყოფილ ზნაურში) შევიდა მცირე სამხედრო ნაწილი, რომელიც შედგებოდა რუსებისა და ქართველებისაგან. ამ რაზმის ხელმძღვანელობა შეხვდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს (დანიშნულთ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ) და მაშინვე გამობრუნდა უკან. ამ რაზმმა გამოიარა ქართული სოფლები კნოლევი, ავლევი, ატოცი, განაიარაღა იქაური მოსახლეობა და გაემართა გორის მიმართულებით.

ამავე დროს ცხინვალის მხრიდან ყორნისში, ს. ოქონაში შემოვიდა ჩრდილოეთ ოსეთის სამხედრო შენაერთი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან როგორც ოსები, ასევე რუსები და შუა აზიის რესპუბლიკების წარმომადგენლები. მათი საერთო რიცხვი ხუთასს აღემატება. ეს შენაერთი კბილებამდეა შეიარაღებული, აქვთ ოცდაათამდე „ბმპ“ და ათამდე „ბტრ“-ი. ამ ფაქტმა ქართველი ლტოლვილების დიდი აღშფოთება გამოიწვია, რადგანაც ს. ოქონის ჩრდილოეთით დარჩენილია თერთმეტი გავერანებული და გატიალებული ქართული სოფელი, საიდანაც შარშან და შარშანწინ რუსეთის სამხედრო ნაწილებისა და ოსი „ბოევიკების“ მიერ განიდევნა ქართული მოსახლეობა. ამ შენაერთის ს. ოქონაში განლაგებით კი ქართველ ლტოლვილებს ფაქტიურად მოესპოთ შესაძლებლობა დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს. აღმაშფოთებელია ისიც, რომ ამ სამხედრო შენაერთში იმყოფებიან ის ოსი „ბოევიკები“, რომელთაც მიიღეს უშუალო მონაწილეობა ზემოთხსენებული ქართული სოფლების დარბევაში. აი, მათი გვარებიც: ალბოროვი მიშა, ლოხოვი ამურიკა, თედეევი მუხარი შვილითურთ, იკაევი არენტიკა, ჯერანოვი დათო, ბეკოევი გელა, შიუკაევი ანგული.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონი ქარელს შეუერთა, ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველები ყორნისს (ზნაურს) თავიანთ დაქვემდებარებაში თვლიან. ამიტომაც, ამ რაიონს განაგებს მათ მიერ დანიშნული კაცი, ყავთ მათივე მილიცია, რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქართველთა დარბევაში.

ამასთან, ოსური მხარე დაჟინებით აცხადებს, რომ ეს მათი რესპუბლიკაა, მათი მიწა-წყალია და დაგომისში საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყდა. ამას გამოხატავენ ყველანაირი საშუალებით. ს. ოქონში, სადაც მათი შენაერთებია დაბანაკებული, დადგეს ხმის გამაძლიერებლები, რომლებიდანაც დილიდან საღამომდე გაყვირიან, რომ ეს მათი მიწაა და ქართველებს აქ არაფერი ესაქმებათ.

ჩვენ, ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონის ლტოლვილი ქართული მოსახლეობა კატეგორიულად მოვითხოვთ საქართველოს ხელისუფლებისაგან შემდეგს:

1) სასწრაფოდ იქნეს გაყვანილი ს. ოქონაში დაბანაკებული სამხედრო შენაერთი.

2) იმ შემთხვევაში, თუ სამხედრო შენაერთის გაყვანა არ მოხერხდა, მოხდეს ამ სამხედრო

(გაგრძელება მე-6 გვ.)

მიხეილ მახარაძე — ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, შუა საუკუნეების ფილოსოფიისა და რელიგიის ფილოსოფიის, რენესანსის პრობლემებისა და ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის მკვლევარი. ავტორია 8 წიგნისა, მათ შორის ორი ლიტერატურული და პუბლიცისტური კრებულია. ჩვენი გაზეთის მკითხველი მას იცნობს როგორც ეროვნული საკითხებისადმი მიძღვნილი მწვავე წერილების ავტორს, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი მუდამ ეკავა აჭარის პრობლემატიკას. შევნიშნავთ, რომ მ. მახარაძე აჭარის მკვიდრია, მაღალმთიანი ხულოს რაიონშია დაბადებული და გაზრდილი. ეს ფაქტიც გვქონდა მხედველობაში, როცა ის აჭარის საკითხებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ. თუმცა ინტერვიუ ტრადიციული არ გამოვიდა. ავტორი უფრო მის ადრინდელ გამოთქმულ მოსაზრებათა დაკონკრეტებით შემოიფარგლა, რაც თავისთავად არაა ინტერესს მოკლებული.

# მიხეილ მახარაძე:
# ზოგჯერ იძულებული ვარ სხვისი სათქმელიც ვთქვა

ვიდრე შეკითხვას დამისვამდეთ, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მოწვევისათვის მადლობა მოგახსენოთ.

ჩემთვის „საქართველო" ის გაზეთია, რომელიც ჭეშმარიტების გარდა სხვა ავტორიტეტს არა სცნობს. ისე სხვა გაზეთებშიც გამომიქვეყნებია მწვავე წერილები, მაგრამ ერთი, ორი, სამი და წერილის წარდგენიდან შვიდი თვით დაგვიანების შემდეგ, როცა ავტორს წერილის ამბავი დავიწყებულიც გაქვს უკვე. ეს კი წერილს უკარგავს აქტუალობას და ვერც მიზანში ხვდება ისე, როგორც ეს ჩაფიქრებული იყო. „საქართველოში" კი პირიქით, საკმარისია შეამჩნიონ, რომ წერილი სიმართლეს შეიცავს და აქტუალურია და მას დაუყოვნებლივ აქვეყნებენ. რამდენი წერილი წამიღია უკან თქვენი რედაქციიდან სწორედ იმის გამო, რომ უკვე „ვადა ჰქონდა გასული", დაგვიანებული იყო არა რამდენიმე თვით, არამედ შეიძლება მხოლოდ ერთი კვირით.

**— დიდი მადლობა, ბატონო მიხეილ, თანადგომისათვის. თბილი სიტყვა ყველას სჭირდება, მათ შორის ჩვენც, პრესის მუშაკებს.. ახლა კი საქმეზე—**

**თქვენი ბოლო წერილი — „როცა დუმილი თანხმობის ნიშანია!" („საქართველო", ო26) მკვეთრიცაა და ამავე დროს იმ მოსაზრებათა გარკვეული შეჯამებაა, რომლებიც გატარებული გაქვთ აჭარის საკითხებზე გამოქვეყნებულ წერილების ციკლში. ამას უნდა ადასტურებდეს წერილის ბოლოთქმაში თქვენი აღნიშვნაც, რომ ამთავრებთ ამ თემაზე საუბარს. როგორ გავიგოთ ეს — უკვე მორჩით სათქმელს თუ შემდგომში თავს არიდებთ ამ თემაზე საუბარს?**

— თქვენს კითხვაზე მოკლედ და ცალსახად პასუხი შეუძლებელია. საკითხში სიცხადის შეტანის მიზნით უფრო ვრცლად გიპასუხებთ.

წერილის ბოლოთქმაში იგულისხმება აჭარის ხელისუფალთა საქმიანობაზე საუბრის დამთავრება და არა საერთოდ სიმართლის თქმაზე თავის შეკავება. ამასთან, როცა წერილი რედაქციას ჩაბარდა, 3 დღის შემდეგ მოულოდნელად შედგა ჩემი შეხვედრა აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. ამ საკითხებზე დაწვრილებით შემდგომ თუ ამის საშუალება მოგვეცა. ახლა დავუბრუნდეთ წერილში გატარებულ ძირითად აზრს.

დასაწყისშივე მინდა შევნიშნო, რომ, როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, არასწორად იქნა გაგებული წერილში გაკეთებული აქცენტები (რაშიც მკითხველთან ერთად მეც — წერილის ავტორსაც მიმიძღვის ბრალი ალბათ. როგორც ჩანს უფრო მეტი სიცხადე იყო საჭირო).

**— რა გაქვთ კონკრეტულად მხედველობაში?**

— პირველ რიგში ის, რომ მე თითქოსდა წინააღმდეგი ვყოფილვარ საქართველოს სახელმწიფო საბჭოში აჭარიდან ახალი სამი წევრის მიღებისა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. სახელმწიფო საბჭოს ახალ წევრებად აჭარიდან მიიღეს აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატები თენგიზ ასანიძე და თამაზ ტუნაძე და აგრეთვე აჭარის უზენაესი საბჭოს განყოფილების გამგე თემურ ჩოგაძე. რატომ უნდა ვიყო პიროვნულად რომელიმე მათგანის წინააღმდეგი? მითუმეტეს, რომ ბატონ თამაზ ტუნაძეს პირადად ვიცნობ. ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ჩემს რაიონს, გამოირჩეოდა პრინციპულობით და 1985 წლის მიწურულს სრულიად უსაფუძვლოდ შეეწირა აჭარაში გატარებულ სუბიექტურ საკადრო პოლიტიკას. ბატონი თემურ ჩოგაძეც ჩემი რაიონიდანაა, გაიარა ცხოვრების მძიმე გზა და რასაც მიაღწია (მიღებული აქვს საუნივერსიტეტო ისტორიული და იურიდიული განათლება), მიაღწია საკუთარი შრომითა და ძალისხმევით. რაც შეეხება ბატონ თენგიზ ასანიძეს, ქალაქ ბათუმის რწმუნებულს, აქამდე პირადად არ ვიცნობდი და ამ თანამდებობის პირის მიღება სახელმწიფო საბჭოში რატომ უნდა ყოფილიყო მოულოდნელი?

წერილში ჩვენ სულ სხვა მიმართებით გვქონდა გაკეთებული აქცენტი. კერძოდ, სახელმწიფო საბჭო თუმცა დროებითი, მაგრამ საქართველოს მმართველობის უმაღლესი ორგანოა ამჟამად და მასში ავტომატურად უნდა შედიოდნენ საქართველოში არსებული ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები. მომიტევეთ და აქ ანალოგიისათვის აფხაზეთის მაგალითი ნამდვილად არ გამოდგება. გამომდინარე აქედან, როცა ჯერ ასეთი აქტი არ შესრულებულა, სახელმწიფო საბჭოს ამგვარი შევსება ხომ არის ცოტა უცნაური? მაგრამ აქ ეჭვი ახალ წევრების კი არა უფრო საბჭოს მისამართითაა გამოთქმული. იქნებ მკვეთრად გამოვხატე ჩემი აზრი? შეიძლება! მაგრამ სიმართლე ხომაა?! თუკი ამის საწინააღმდეგოს დამიმტკიცებს ვინმე, მზადა ვარ უკან წავიღო ჩემი სიტყვები.

ჩემი წერილის ძირითადი ადრესატი აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფია. აქ ცოტა ექსკურსი დაგვჭირდება. დღევანდელი აჭარის უზენაესი საბჭო, ისევე როგორც საქართველოს ყოფილი უზენაესი საბჭო, ძირითადად სამი კატეგორიის დეპუტატებითაა დაკომპლექტებული: პროფესიონალი პოლიტიკოსები (მცირე ნაწილი), თანამდებობის პირები და დეპუტატები, რომლებიც უზენაეს საბჭოში მოხვდნენ ძირითადად თავისი ავტორიტეტის წყალობით.

ყველამ კარგად იცის, რომ პოლიტიკური ბრძოლისას, პროფესიონალი პოლიტიკოსები ტაქტიკურად ცვლიან პოზიციას, მოქმედებენ სიტუაციის მიხედვით. სადაც პოლიტიკა თამაშდება, იქ ამგვარ „სვლებს" მუდამ აქვს ადგილი.

პარლამენტის წევრი თანამდებობის პირები კი ძირითადად ხელისუფლების კარნახით მოქმედებენ (გარდა იმ შემთხვევისა თუ ოპოზიციაში არ არიან). ამგვარ პოზიციასაც მოეძებნება ახსნა (და არა გომართლება).

პარლამენტის მესამე კატეგორიის წევრები — მეცნიერები, მწერლები... მათი როლი პარლამენტში განსაკუთრებულია, ისინი ხომ დამსახურებული პიროვნებები არიან, მათ სიტყვას განსაკუთრებული ფასი აქვს და ა.შ. მთავარია, რომ ისინი რომელიმე ძალის მიერ არ უნდა იმართებოდნენ. სწორედ იმის გამო, რომ კონკრეტულ სიტუაციაში მათ ვერ გამოიჩინეს სათანადო პრინციპულობა, ამიტომაც გამოვთქვი წერილში მკაცრი შენიშვნები მათი მისამართით. ვისი მისამართითაც გამოვთქვი შენიშვნები, გარდა ცნობილი მსახიობისა, ყველას კარგად ვიცნობ და ახლო ურთიერთობა მაქვს მათთან (ასე იყო აქამდე, ვნახოთ რა იქნება მომავალში).

რაც შეეხება აჭარის უზენაესი საბჭოს სესიის სხდომებზე მიმდინარე პროცესების ჩემეულ შეფასებას, ვისაც ტელევიზიით უნახავს ამ სხდომების მიმდინარეობა, ვფიქრობთ საეჭვო და სადავო აქ არაფერი ექნება.

**— ახლა ხომ არ დავუბრუნდეთ თქვენი წერილის ბოლოთქმაში გატარებულ აზრს?**

— კვლავ მინდა გავიმეორო, რომ, რაც არ უნდა მოხდეს სათქმელი მაინც უნდა ითქვას, სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ.

**— ზოგჯერ ხომ არ აჯობებდა, გარკვეულ მოსაზრებათა გამო თავი შევიკავოთ, ან კიდევ სათქმელი ცოტა სხვანაირად, თუნდაც შეფარვით ითქვას?**

— მესმის რის თქმაც გსურთ. სხვებიც მეუბნებიან ამას, მირჩევენ კიდეც. აქ მუდამ უნდა გვახსოვდეს შეგონება „ჭირმა თავი ვერ დამალაო", შენ თუ არ იტყვი, ამით პროცესი არ შეჩერდება. თქმით კი საზოგადოებას შეიყვან საქმის კურსში, რითაც მოსალოდნელი მოვლენის პროგნოზირება შეიძლება მოხდეს და ა.შ.

აქ აგრეთვე ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ პოლიტიკოსისა და მეცნიერის პოზიცია (ამ შემთხვევაში, როგორც მეცნიერი სწორედ მეცნიერებაზე ვაკეთებ აქცენტს). ის, რაც ეპატიება და მიეტევება პოლიტიკოსს, არ ეპატიება და არ მიეტევება მეცნიერს. პოლიტიკოსი მუდამ მანევრს მიმართავს, ტაქტიკურ სვლებს აკეთებს, მეცნიერი კი მუდამ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ ჭეშმარიტებას ემსახურებოდეს (ასეთია საკუთრივ მეცნიერების არსი, ბუნება). მეცნიერის ნათქვამი მასებზე მოულოდნელი ეფექტის მოსახდენად კი არ უნდა იყოს გათვლილი, არამედ საზოგადოების ცნობიერების თანდათანობით გარდაქმნას უნდა ემსახურებოდეს. ისე როგორც წვეთწვეთობით ივსება კასრი, ასევე მეცნიერის მიერ გამოთქმული აზრებიდან უნდა „წვეთავდეს" ჭეშმარიტება და თანდათანობით „ავსებდეს" საზოგადოების ცნობიერებას და ამ გზით გარდაქმნას ის.

ამასთან პოლიტიკაში მეცნიერისა თუ მწერლის მორალითა და პრინციპებით მოქმედება წინასწარაა მარცხისათვის განწირული და პირიქით. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკოსი არ ემყარებოდეს მეცნიერებას, მწერლობას (ამის გარეშე დიდი პოლიტიკა წარმოუდგენელია).

ახლა იმის შესახებ, რომ ამა თუ იმ თემაზე უარის თქმა სულაც არ ნიშნავს სიმართლეზე უარის თქმას, თუნდაც ეს სიმართლე პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებული იყოს შენთვის უკვე ტაბუდადებულ თემას. მოდით ფაქტებით ვილაპარაკოთ. ახლახან მითხრეს, რომ ბათუმის უნივერსიტეტში, ამა წლის მისაღებ გამოცდებზე საქართველოს ისტორიაში კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ამ საქმის არასპეციალისტი. ამ დროს უნივერსიტეტში არის საქართველოს ისტორიის კათედრა და საერთოდ ბათუმი არ განიცდის საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა ნაკლებობას. აქ საქმეს ბოლომდე რომ გაყვე ვიცი სადამდეც მივალთ, მაგრამ ეს სწორედ ის საკითხია, რაზედაც ჩემი მხრიდან საუბარს დამთავრებულად ვთვლი. აქ სათქმელს კი არ ვარიდებ თავს, უბრალოდ თუკი ვინმე დაინტერესდება ამ საკითხით უჩემოდ ადვილად გაიგებს თუ საიდან იღებს სათავეს ეს „შეცდომები".

ბათუმში ყოფნისას გავიგე აგრეთვე, რომ უნივერსიტეტში ჯერჯერობით ადგილები ვერ გამოუნახეს იმათ, ვინც თავის დროზე თბილისში მიავლინეს მიზნობრივ ასპირანტურაში. ერთმა მათგანმა ასპირანტობის ვადაში დისერტაციის დაცვაც მოასწრო. მეტი რაღაა საჭირო? მე პირადად ვიცნობ ამ ბიჭებს, შესანიშნავი ახალგაზრდები არიან, პროგრესულად მოაზროვნე. რაც მთავარია გავლილი აქვთ თბილისის სამეცნიერო სკოლა. სწორედ ასეთი კადრები სჭირდება ბათუმის უნივერსიტეტს. სხვა მაგალითებიც ვიცი, მაგრამ თავს არ შევაწყენ ამით მკითხველს. ბუნებრივია დაისმის კითხვა: ვინ უნდა ატეხოს განგაში ამ საკითხების მოსაგვარებლად? პირველ რიგში ადგილობრივებმა, ინტელიგენციამ და ვისაც კუთხის ბედ-იღბალი აინტერესებს. საჯაროდ ამას ისინი არ აკეთებენ. ამიტომაც იძულებული ვარ ზოგჯერ სხვისი სათქმელიც ვთქვა.

**— რახან ბათუმის უნივერსიტეტზე ჩამოვარდა საუბარი, იქნებ ისიც უთხრათ მკითხველს, თუ როგორ გესახებათ მისი როლი აჭარის ცხოვრებაში..**

— ბათუმის უნივერსიტეტმა ახლო მომავალში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას მხარის ცხოვრებაში, გახდეს აჭარის ყოველმხრივი აღმავლობის საფუძველთა საფუძველი. მოდით, გავხსნათ ფრჩხილები: ათეული წლების განმავლობაში (და ნაწილობრივ დღესაც) აჭარის ძალები თავმოყრილი იყო ავტონომიური მექანიზმის ირგვლივ. ერთადერთი მხოლოდ ავტონომიური მექანიზმი წყვეტდა მხარის სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების საკითხებს. სახელმწიფო სტრუქტურის ასეთი ყოვლისმომცველი საქმიანობა გარკვეულწილად ადუნებდა აჭარის მკვიდრთა პოლიტიკურ აქტიურობას. სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდიც კი აჭარის მკვიდრთა ძირითადი ნაწილის ყურადღება ავტონომიური მექანიზმისადმი იყო მიპყრობილი. გამომდინარე აქედან, შემთხვევითი არ ყოფილა ისიც, რომ ამ პერიოდში აჭარაში, განსხვავებით საქართველოს სხვა რეგიონებისაგან, მოსახლეობის აქტიური ნაწილი ხელისუფლებას უჭერდა მხარს და არა ეროვნულ მოძრაობას.

დღეს სიტუაცია იცვლება. ყოველი დარგი, სფერო ავტონომიურობისაკენ მიისწრაფვის. ასეთ ვითარებაში ბათუმის უნივერსიტეტი ერთადერთი დაწესებულებაა, რომელსაც ხელეწიფება თავისთავზე აიღოს პასუხისმგებლობა მხარის წინამძღოლობაზე. სასურველია, რაც შეიძლება ადრე მოხდეს ეს. ამისათვის კი საჭიროა უნივერსიტეტის ირგვლივ შემოკრებილ იქნას მხარის (და არა მხოლოდ მხარის!) ინტელექტუალური პოტენციალი. ამ გზით, თანდათანობით ბათუმის უნივერსიტეტი უნდა გადაიქცეს აჭარის ყოველმხრივ ცენტრად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თუკი რაიმე შენიშვნას გამოვთქვამ ბათუმის უნივერსიტეტის მისამართით მხოლოდ მისი ამ დიდი მისიიდან გამომდინარე.

**— ამ ბოლო ხანებში, როცა საუბარი აჭარას ეხება, ისლამს გვერდს ვერ ავუვლით ხოლმე. იქნებ რამდენიმე სიტყვა ამ საკითხზეც გვითხრათ?**

— სათქმელი თითქმის აღარაფერი დამრჩა. ადრინდელ პუბლიკაციებში ამაზე დაწვრილებით მქონდა საუბარი. მაგრამ ერთ ფაქტზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ამასწინათ რუსეთის ტელევიზიით გამოსვლისას აზერბაიჯანის პრეზიდენტმა აბულფაზ ელჩიბეიმ ისლამური ფუნდამენტალიზმის შესახებ აღნიშნა, რომ იგი ორ ასპექტს მოიცავს: ისლამური კულტურული მემკვიდრეობის საფუძვლიანი შესწავლა (რაშიც მისივე მართებული შენიშვნით ცუდი არაფერია) და ისლამის აქტიურად ჩართვა ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში (რაც მიუღებელია). აჭარაში რელიგიური აღმავლობა ისლამური ფუნდამენტალიზმის ნიშნებს ატარებს. მოდით, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დავსვათ კითხვა: ისლამური ფუნდამენტალიზმის რომელი ასპექტის „აწევა" შეუძლია აჭარის მოსახლეობას? — ვფიქრობთ, კითხვაში პასუხიცაა მოცემული და ვისაც ეს ეხება, ამ პოზიციიდანაც უნდა შეხედოს ისლამის ამჟამინდელ აღმავლობას აჭარაში.

**— რას ეტყოდით დასკვნის სახით მკითხველებს აჭარის საკითხებთან დაკავშირებით?**

— ვფიქრობთ აჭარის ხელისუფლებასთან თეორიული დავა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს, სათქმელი ითქვა (ყოველ შემთხვევაში ჩემი მხრიდან მაინც) და ახლა პოზიციების დაახლოებაზე უნდა ვიზრუნოთ. ამაში კი გადამწყვეტი სიტყვა ინტელიგენციამ უნდა თქვას. თუკი დავამკვიდრებთ ურთიერთგაგების ატმოსფეროს, მაშინ თანდათანობით გადაწყდება ის სიძნელეები, რომლებიც დღეს აჭარის წინაშე დგას. აქ ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს.

# მოვითხოვთ ხელისუფლებისაგან
## (დასაწყისი მე-5)

(დასაწყისი მე-5)

ნაწილის დისლოკაციის ადგილის შეცვლა — კერძოდ, ს. ოქონიდან ს. თერიგვანში და ამასთან, ამ ნაწილების შემადგენლობაში შეყვანილ იქნან ქართველი სამხედრო მოსამსახურეები.

3) სასწრაფოდ ჩამოყალიბდეს სპეცდანიშნულების მილიცია, რომელშიც გაერთიანდებიან ადგილობრივი ქართველებისგან და ოსებისგან შემდგარი რაზმები, რომლებიც ამოიღებენ იარაღს როგორც ქართული, ისე ოსური მოსახლეობიდან.

4) სასწრაფოდ დადგინდეს ოს ლტოლვილთა რაოდენობა მთლიანად საქართველოდან და ოფიციალურად გამოცხადდეს როგორც ქართული, ასევე რუსული და საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, რადგანაც, ჩვენი მონაცემებით, საქართველოდან ლტოლვილ ოსთა რაოდენობამ ამ კონფლიქტის კულმინაციის პერიოდში შეადგინა 35—40 ათასი კაცი, აქედან 80 პროცენტი დღეისათვის უკვე დაუბრუნდა თავის საცხოვრებელ ადგილს. ამჟამად, როგორც გავიგეთ, მოსკოვის ცნობით, ოსები კვლავ აპირებენ 130 ათასამდე ოსი ეროვნების ადამიანის ჩამოსახლებას საქართველოდან ლტოლვილის სტატუსით. გვებადება ეჭვი: ხომ არ არიან ესენი ის ოსები, რომლებიც გამოსულები არიან ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის სადავო ტერიტორიებიდან. ამასთანავე, გვაქვს ინფორმაცია, რომ ისინი ლტოლვილი ქართველების მიერ მიტოვებულ სახლებში უნდა შეასახლონ. ამის მაგალითები უკვე არის. კერძოდ: სოფლების ნაბაკევისა და სუნისის მიწები დაუნაწილეს ოსებს.

ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონიდან ლტოლვილი ქართველი მოსახლეობის სახელით:
ი. ჩუბინიძე,
ზ. ბეგიაშვილი.

**რედაქციისაგან:**

ცხინვალის რეგიონში განხორციელებული ღონისძიების შედეგად საომარი მოქმედება ფაქტობრივად შეწყდა. ცხადია, ეს წინგადადგმული ნაბიჯია. მაგრამ წარმოიშვა ისეთი ახალი სირთულეებიც, რომელზეც ზემოთწარმოდგენილ წერილშია საუბარი. საზოგადოებას გვინდა ვაუწყოთ, რომ როგორც სამშაბათს, 21 ივლისს გამართულ სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე გაირკვა, საბჭოს თავმჯდომარე ამ პრობლემებს გაცნობილია, რის შესახებაც თავად ისაუბრა და საბჭოს შესთავაზა შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელიც ამ და სხვა შემხვედრ პრობლემებს მოაგვარებს. აქედან გამომდინარე, ზემოთწარმოდგენილი პუბლიკაციის სამართლიანად შეშფოთებულ ხელმომწერებს გვინდა ვაუწყოთ, რომ აღნიშნულ სამწუხარო ფაქტებზე ხელისუფლება აპირებს ქმედითი ღონისძიებების გატარებას.

# ჩანაწერები 1942 წლის შეთქმულებაზე

როსტომ ჩხეიძე

(გაგრძელება. იხ. „საქართველო“ №№27, 28)

მიხეილ საბაშვილს დარჩა ორი მინიატურაც, რომელთაგან პირველი, „მარტოობაში“, ეს სიყვარულის საგალობელი, მართლაც ვერტერისეული მგზნებარებითაა დაწერილი. მის ექსპრესიაზე ეს ერთიბეწო ფრაგმენტიც მკაფიოდ მეტყველებს: „მე მესმის მხოლოდ ერთი ზღაპარი. მე მწამს მხოლოდ ერთი ზღაპარი. მე ვიცი ეს ზღაპარი. მე მივხვდი ამ ზღაპრის შინაარსს... მე მივხვდი ცხოვრების საიდუმლოებას, და ეს საიდუმლოება არის სიყვარული... ეს ზღაპარი არის სანეტარო ზღაპარი სიყვარულისა“.

მამის ხსოვნისადმი მიძღვნილ ლექსს შესაძლოა განსაკუთრებული მხატვრული ღირსება არ გააჩნდეს, მაგრამ ჩვენთვის საგულისხმოა, როგორც შეთქმულის ნაწერი და როგორც გარკვეულ განწყობილებათა ამრეკლავი დოკუმენტი.

თუმც არსებობს ამ განწყობილებათა შესანიშნავად და შთამბეჭდავად ამეტყველებული ნიმუშიც, 1941 წელს შექმნილი „წერილი დედას“, ლადო ასათიანის საუკეთესო ლექსი, რაც ხელშესახებად წარმოსახავს დაწყევლილი თაობის სულისკვეთებასა და უძირო სევდას.

*

ზურაბ მისაბიშვილი ქუთაისში იყო ჩასული თავისიანებთან... გრძნობდა, უთვალთვალებდნენ და მისი დაპატიმრებაც ჭარდაუვალი იყო. ვინ იცის, რა ელოდა და უკანასკნელად მაინც მოენახულებინა დედა და და. მამა 37-მა იმსხვერპლა, ორი ბიძაც ცოლებთან ერთად იმავე გზას გაუყენეს, რამაც ჭაბუკს კიდევ უფრო გაუმძაფრა შეურიგებლობის განცდა.

იმ რამდენიმე პირადი ბარათიდან, რაც ზურაბისგან დაგვრჩა, ერთი მამასთანაა მიწერილი და თავის სტუდენტურ პრობლემაზე შესჩივის. ჭაბუკი უკვე შეხლია ბიუროკრატიულ ხლართებს და ვერ აუხსნია, რაღაც გაუგებრობის გამო, თვითონ რომ არავითარი ბრალი არ მიუძღვის, რატომ უნდა შეეშალოს ხელი.

„მამა!

როგორც ქუთაისში ყოფნისას გითხარი, რექტორმა ჩემს უკანასკნელ განცხადებას უარით უპასუხა — ეხლა ამის გამო დაიბადებოდა წინააღმდეგობა წინა ბრძანებისა, რომლის თანახმადაც მესამე კურსზე ჩამრიცხეს და უკანასკნელს შორის. საქმეთა მმართველს (ლუკა ცინცაძეს — შენი მოწაფეა, როგორც თვითონ აცხადებს) 1-ლი ბრძანება (მესამე კურსზე ჩარიცხვის) არასწორად მიაჩნია და აცხადებს: „უთუოდ მემანქანე შეცდა ბრძანების გადაბეჭდვის დროსო, ამიტომ მეორე კურსზე უნდა დაბრუნდეო, იანვარში კი ვეცდები რამე მოვახერხოთო“. ასეთი წინადადება მე არ მივიღე და არც მივიღებდი არავითარ შემთხვევაში.

ჯერჯერობით მესამე კურსზე ვესწრები ლექციებს, სიაშიც ვიმყოფები. შალიკო გეგენავა ჟორა ბიძიას უნახავს. მას უთქვამს, „მოვიდეს ჩემთან, თუკი საქმე გაუჭირესო“. უნივერსიტეტში კი ეს ორი-სამი დღეა მიჩუმდა საქმე.

ჯანმრთელობის მხრივ არა მიშავს, მხოლოდ ნორმალური პირობები მუშაობისათვის ამ საქმემ ამიწეწა.

იანვრის 15-ს თავდება ნახევარი და ნახევარი წლის განვლილი მასალის ჩაბარებას მთხოვენ. ვეცდები არ გავწითლდე.

შენ რომ წიგნები მთხოვე, ვერ ვიშოვე — რასაც წავაწყდი, გიგზავნი იმის სიას, ამოირჩიე და შემომითვალე (მათი ფასი არანაკლებ 8—9 მანეთისა). რაზე არ იწერებით, როგორ ხართ — მომწერეთ. დედას აკოცე ჩემს მაგივრად — ფოფოშტიმ წერილი მომწეროს, აჩიკოც ნუ დაიზარებს ამ საქმეს. იყავით კარგათ, გკოცნი.

თქვენი ზურაბი

P.S. ნუცა დეიდა ორი დღეა არ არის, ...ც — დღეს მიდის მუხა ესტატეში.

1935 წ. 8 XII

და იქვე კიდევ ერთი მინაწერი: „მამა! თუ მოახერხებთ შენ და დედა ჩამოდით“.

„ასეთი წინადადება მე არ მივიღე და არც მივიღებ არავითარ შემთხვევაშიო“, ამ ფრაზით მკაფიოდ მჟღავნდება ზურაბის პრინციპულობა, მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ვინ განაწყენდება მისი დაუთმობლობით, როგორც სწამს, ისე იქცევა.

ასეთი სიმტკიცისა რომ იყო, ამიტომაც ვერ მოტეხეს დაკითხვებისას და ვერც მამის დაგმობა აიძულეს (ეს — სტუდენტობისას).

მაშინ ეს რიტუალივით სრულდებოდა — საბჭოური და მატერიალისტური რიტუალივით: შვილს თუ დააპატიმრებდნენ, მამას უნდა უარეყო იგი, მამას თუ დააპატიმრებდნენ — შვილს... ოჯახის წევრებს უარი უნდა განეცხადებინათ ერთმანეთის ნათესაობაზე და გამიჯვნოდნენ შერისხულს, თუ არა, უსიამოვნებანი ელოდათ, თანაც საჯაროდ უნდა უარეყოთ — აზიმზიმებულსა და სისხლმოწყურებულ გარემოში. „უარყავი“, დაჰკიჟინებდნენ, „უარყავი ხალხის მტერი, დაგმე და გაემიჯნე იდეოლოგიურ დივერსანტს“... და ძნელი იყო გაძლება ამ კიჟინისაც, ამ გაავფთრებული სახეებისაც, ამ მოსალოდნელი ხიფათისა და უსიამოვნებებისაც... ზოგი ხალისით უარყოფდა, თვითონვე დაასწრებდა და მამას რომ დაუპატიმრებდნენ, ლამის მეორე დღესვე ლექსით მიესალმებოდა ხელისუფლებას, თქვენ გენაცვალეთ, ასეთი ფხიზლები და თქვენი იდეალების ერთგულნი რომ ხართ, მტრებსა და ორგულებს რომ არ ახარებთო, ზოგი დაფრთხებოდა და სისუსტის გამოჩენა მერე ცხოვრების სატანჯველად ექცეოდა, ზოგიც არ ეპუებოდა — ვერ წარმოედგინა, ახლობელი როგორ უნდა გაემეტებინათ, მათი ხსოვნა როგორ უნდა შეეგინებინათ, ცილისწამებანი თვითონაც როგორ უნდა დაედასტურებინათ.

არც ზურაბი შეპუებია. „გაემიჯნე მამაშენს, როგორც კონტრრევოლუციონერსა და ხალხის ორგულსო“, თუნდ ჯიქურ დასდგომოდნენ, მისი მართალი და პატიოსანი ბუნებისათვის ასეთი რამ ყოვლად წარმოუდგენელი გახლდათ. თვითონ ხომ იცოდა, რა უსამართლოდ მოექცნენ, ხომ იცოდა, ვინც იყო მამამისი სინამდვილეში — კეთილშობილი პიროვნება, გამორჩეული ინტელიგენტი ქუთაისში, მეტად დაახლოებული თვალსაჩინო მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, ჟურნალისტი და აღმზრდელი. უშანგი ჩხეიძე თავის მოგონებებში განსაკუთრებული სიყვარულით იგონებს ნიკო მისაბიშვილს, როგორც ნიმუშს კარგი მასწავლებლისას. პედაგოგიურ მოღვაწეობამდე ჟურნალისტურ სარბიელზე სცადა ბედი და მწვავე და უშელავათო სტატიებისა და ფელეტონებისათვის არაერთი უსიამოვნება შეემთხვა. ჯერ კიდევ 1907 წელს მისი ფელეტონისათვის „ჩვენი ცხოვრება“ დააჯარიმეს რუსულენოვანი გაზეთი „Батумские новости“, თვითონ კი ბათუმიდან გადაასახლეს... კიევის უნივერსიტეტში სიტყვიერების ფაკულტეტზე სწავლისას „ნიკოლის“ ფსევდონიმით თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში და მისი ფელეტონებისათვის სხვადასხვა დროს ორი გაზეთი დააჯარიმეს, თვითონ კი გუბერნიის ფარგლებიდან გაასახლეს... უნივერსიტეტში დაბრუნების შემდეგ მონაწილეობდა სტუდენტურ დემონსტრაციაში — „ტოლსტოვურ ზეიმში“, რისთვისაც [illegible]ავ გაირიცხა... ბოლოსდაბოლოს წარმატებით დაასრულა კურსი და სამშობლოში დაბრუნებული მთლიანად პედაგოგიურ მოღვაწეობას მიეცა — ხაშურისა და ქუთაისის გიმნაზიებსა და ქუთაისის ინსტიტუტში... 37-ს ვერ გადაურჩა და ზურაბს მისი დაგმობა რომ მოსთხოვეს, წამითაც არ შეყოყმანებულა, ისე განაცხადა უარი. უარს მისი გარიცხვა მოჰყვა უნივერსიტეტიდან... ოღონდ, როგორც ჩანს, მფარველები გამოუჩნდნენ და ზურაბ მისაბიშვილი კვლავ დაუბრუნდა ისტორიის ფაკულტეტს.

ბარათს ახლა დედას თუ გაუგზავნიდა.

„ჩემო დედა!

ჩემზე ნაწყენი ხარ უთუოდ. ნაწყენი ხარ სამართლიანად. ჯერ იყო და წამოსვლისას უგემურად გამოგემშვიდობე. შემდეგ ჩემი ჯანმრთელობით დაშინებულს წერილი არ მოგწერე. უგემური შვილი გამოგადექი დედაჩემო. რა გაეწყობა. დედობა ბედის მორჩილება ყოფილა მუდამ და შენც უნდა შეურიგდე შენს ბედს, ავს თუ კარგს. დედაჩემო, ჩემი ჯავრი ნუ გექნება. ჯანზე კარგად ვარ. ფერდის ტკივილები არა მაქვს, მხოლოდ მოვიქანცე უზომოდ.

სახელგამიდან ფულის გამოტანა ჯერჯერობით არ მოხერხდა. 17 მაისის შემდეგ დრო მეტი მექნება და კიდევ შევეცდები. 26 მაისისათვის მე გამოცდებს ვამთავრებ და რამდენიმე დღით მოგინახულებთ. ჩემი კოსტიუმი ჯერ მზად არ არის. გამაწვალა საშინლად. ნინას წერილი გამოატანე. მოიწერე თუ რაიმე გაიგე მამის შესახებ. ნუცა დეიდასაგან რა ისმის, მომწერეთ მისამართი — მე და ბორისი წერილს და ჩვენს სურათებს გაუგზავნით.

მომწერე ფაცას შესახებ. როგორ დამთავრდა იმ ებრაელის საქმე? სერგოს მოკითხვა.

გკოცნი შენი ზურაბი“

ბარათი დაუთარიღებელია... როგორ ჩარჩენია გულში, უგემურად დაგემშვიდობეო, და როგორ ნანობს... ეგ კია, უგუნებობა მისთვის მარტო წუთიერი განწყობილება არ უნდა იყოს: სულიერი ტკივილი სიხალისეს აღარ დაანებებდა... იმედი მაინც აქვს, რომ მამა ცოცხალია. „მოიწერე, თუ რაიმე გაიგეო“, ისეთი ინტონაციითაა ნათქვამი, რომ გარკვევა და დაზუსტება უნდა, სად იმყოფება, თორემ დახვრეტა როგორი დასაჯერებელია.

1938 წელს უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, ისტორიის მასწავლებლობას მოჰკიდა ხელი 55-ე საშუალო სკოლაში. მის მოწაფეთა შორის იყო თენგიზ გოგოლაძე, ვინც მოგვიანებით უსაყვარლესი მასწავლებლის სილუეტს წარმოსახავს რომანში „ჟამი ჩვენი“, ოღონდ, გარკვეულ მიზეზთა გამო, სახელს შეუცვლის და ლევან მისაბიშვილად მოიხსენიებს.

„ღმერთივით კაციაო“, აჰე აფასებენ ლევანს და მისი მოწაფე დასძენს, „მე არ ვიცი, როგორი ღმერთი, მაგრამ ლევანი რომ კარგი მასწავლებელი იყო, ეს ჩემზე უკეთ არავინ იცოდა — ალერსიანი, გულისხმიერი, ტკბილად მოუბარი. მხოლოდ რეგვენი და თავზე ხელაღებული მოწაფე თუ გაბედავდა მისთვის ხელი შეეშალა გაკვეთილზე“.

ლევანი (ანუ ზურაბი) ტანად მეტად წარმოსადეგი იყო, სხვა მასწავლებლებთან შედარებით გოლიათი ჩანდა და მოსწავლეებს შორის ასეთი ხმა გავრცელებულა, მისი სხეული მუზეუმმა შეისყიდაო. ვინც ლევანს ეთაყვანებოდა, ყველა ძლიერ განიცდიდა ასეთი ჭორის გავრცელებას, გაგონებაც არ უნდოდათ და უკვირდათ, როგორ მოუბრუნდა ენა პირში იმას, ვინც პირველად წამოროშა ეს სიტყვები. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ლევანი ოდესმე მოკვდებოდა... თურმე ოდესმე კი არა, რა ახლოს ყოფილა ჩასაფრებული სიკვდილი...

ჯერ ზურაბ მისაბიშვილი სკოლაშია და შესვენების დროს დერეფანში რომ ჩაივლის, ბავშვები კედელს აეკვრიან და გაისუსებიან ხოლმე, რადგან მისი შიში და მორიდება აქვთ, როგორც გოლიათი კაცისა. თუმც საშიში აბა რა იყო. „ვისაც გვასწავლიდა, ყველამ ვიცოდით მისი კეთილი გულის ამბავი“, იგონებს ბ-ნი თენგიზი, „ამ გოლიათ კაცში ადამიანური თვისებებიც გოლიათური იყოო“.

მაგრამ მერე სკოლას იძულებით ჩამოშორდა და, თუმც წარმატებით ჩააბარა გამოცდები ასპირანტურაში, უსამსახურობას ძლიერ განიცდიდა. „დედაჩემო! რაშია საქმე? მე რატომ მემდური? სამსახური ჩემს ნებაზე ხომ არაა დამოკიდებული? გაკვეთილები არ იშოვება. სხვა მე რა შემიძლია?“ — სწერს დედას 1941 წლის 24 სექტემბერს — „ხელობა რომ გესწავლებიათ, თუნდაც პარიკმახერობა, დღეს ასე სანანებელი არ ვიქნებოდი. წიგნმა სიმშილი მომიტანა. დიდი მე არა ვარ. საშუალო კაცი კი დღეს მხოლოდ ათშაურიანი ბუბლიკით ცხოვრობს. მე ყველაფერს შეურიგდი და მომავალშიც შეურიგდები — თუ კიდევ რამე უარესი მელის. სიმშილი მე არაფერს მიშავებს. ამბობენ: მაძღარი სულიერიაო მხოლოდ ზარმაცი. მე კი მშიერიც საკმაოდ ზარმაცი ვარ, უფრო ზარმაცი, ვიდრე მაძღარი. ასე რომ, არსებითი ჩემთვის კუჭი არაა. ქალს უსათუოდ შევირთავ. ეს შენ ნუ შეგაწუხებს. ამ საქმეს ჩემთვის იმდენივე მნიშვნელობა აქვს, რამდენიც იმას თუ როგორ პაპიროსს მოვწევ, „ტემპს“ თუ „არსენას“, განსხვავება მხოლოდ 7 აბაზშია. ასე რომ, ქალის შერთვის სიძნელეები მე არ მაშინებს. რას ვაკეთებ, რას ვფიქრობ, რა მაქვს განზრახული — ამაზე ვერ გიპასუხებ და ძალიან გთხოვ ნუ გამებუტები, რადგან მხოლოდ შენ ხარ ჩემთვის ერთადერთი, რომელსაც ჩემი განუზომლად დასჯა და შეწუხება წარბის შეხრით შეგიძლია, ასევე გახარება უმნიშვნელო ღიმებით.

მოკითხვა სერგოს.

შურა და გოგუცა როგორ არიან.

ბავშვის სურათი გამომიგზავნონ.

გკოცნი ურიცხვს შენი ზურაბი

P.S. ფული ერთ კვირაში დაბრუნდეს“.

„საკმაოდ ზარმაცი ვარო“, ზურაბი რომ ამბობს, ეს, რასაკვირველია, პირდაპირ არ უნდა გავიგოთ. ეს ფრაზა თუ რაიმეს გამოხატავს, უპირველესად ჭაბუკის დიდ მომთხოვნელობას საკუთარი თავისადმი. „ამბობენ: მაძღარი სულიერიაო მხოლოდ ზარმაცი“ — „დიდოსტატის მარჯვენის“ ერთ ადგილს გულისხმობს („... სადღაც ცხენი თუ გაძღე, ჰელოზე სხვა მიასწრებს უცილოდ, მწევარი თუ გაძღე, კურდღელს ვერ მიეწევა... ხალხი თუ გაძღა... ლოცვასაც მიატოვებს და შრომასაც...“) და უთუოდ იმიტომ მოუქცევს ფრაზას გამსახურდიასავით (სულიერიაო მხოლოდ). საგულისხმოა, რომ დედის შეკითხვის პასუხად — „რას აკეთებ, რას ფიქრობ, რა გაქვს განზრახულიო“ — ზურაბი არაფერს უმხელს. პასუხს თავს იმიტომ არიდებს, რომ ვერც ტყუილი უთქვამს, არადა, იგი უკვე გაწევრიანებულია შეთქმულთა წრეში, ცხოვრებისეული გეგმები მთლიანად შეცვლია, უაღრესად სახიფათო ბრძოლაში ჩაბმულა და, ბარათის გახსნის შიში რომც არ ჰქონდეს, დედისთვის ამის გამჟღავნება ისეც ძნელია.

ცოლის შერთვაზე რომ ხუმრობს, ამით შინაგან უხერხულობას ფარავს, ისე კი, თვითონაც მშვენივრად მოეხსენებოდა, როგორი პოპულარობითა და მოწონებით სარგებლობდა ქალების წრეში — გარეგნობითაც და სულიერი თვისებებითაც. „ზურიკო, ზურიკო“ — დასდევდნენ, საქმეს იჩენდნენ, მის გვერდით ტრიალი სიამოვნებდათ. ის კი — გაბეზრებული — ყურადღებას მაინც არ აკლებდა... „ზურიკო“, მაშინაც მას მისძახოდნენ, ლადო ბალიაურის სასამართლო პროცესი რომ დასრულდა და ლადოს ათწლიანი კატორღა მიუსაჯეს... ბალიაური გახარებული იყო, დახვრეტას რომ გადარჩა და ყავარჯნებით ისე გამორბოდა სასამართლოს ეზოში, თითქოს მოფრინავსო. ზურაბი და კიდევ რამდენიმე შეთქმული მოწმედ იყვნენ პროცესზე გამოძახებულნი სუკის საკნებიდან — აქ თვითონ ელოდათ განაჩენი, იქ სხვისი ბედი უნდა გადაეწყვიტათ... დაკითხვისას ლადოს სახელი და მისი კავშირი შეთქმულებასთან არავის უხსენებია და მის სასამართლოზეც უარზე დადგნენ — ეგ ჩვენთან არა ყოფილა და ცნობითაც ისე, შორიდან ვიცნობთო... სინამდვილეში მეგობრები იყვნენ. ასე იხსნეს უეჭველი დახვრეტისაგან. თუმც ლადო სასჯელს მთლად ვერ გადარჩა: ომისათვის თავის არიდება და უშიშროების მუშაკთათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა სავსებით კმაროდა კატორღისათვის. „როგორ არის საქმე, ზურიკო“, ვიღაც აჰკვიროდა რკინის გისოსებს. „კარგად, კარგად“, პასუხობდა ზურაბი და ლადოზე უთითებდა, ხომ ხედავ როგორი გახარებულიაო. ის არ ეშვებოდა, „ზურიკო, როგორ არის საქმე, ზურიკო“. ზურაბი გაოცებული გაშლიდა ხელებს, რა გინდა, გამაგებინეო... იმას თვითონ ზურაბის ბედი აღელვებდა, ისევ სუკის ჯურღმულებში რომ უნდა მიებრუნებინათ, დამშვიდებას ამიტომაც შესთხოვდა. ზურაბს კი დავიწყნოდა, თვითონ რა ელოდა და, ლადოს გადარჩენით აღტაცებული, ვერ მიმხვდარიყო, ასე დაჟინებით რას სთხოვდნენ...

„ზურიკო“, მისძახოდა გისოსებს აკრული ქალი.

ვინ იცის, კიდევ რამდენი გულისთქმა მიჰყვებოდა, „ზურიკო, ზურიკო“...

... წაიყვანეს, დახვრიტეს...

ბარათი, რომელიც გიორგი იმერლიშვილმა თავის ნათესავს (ბიძად ერგებოდა) ისაკ იმერლიშვილს გაუგზავნა, უშიშროების თანამშრომელთა ხელში აღმოჩნდა და გარკვეულ სამხილადაც გამოიყენეს, მაგრამ გამოძიების მასალებში არ არის ჩაკერებული.

სამხილად რომ გამოიყენეს, ამის კვალი უთუოდ შეინიშნება: გიორგის რომ ჰკითხეს, რა დავალება მიეცა ისაკ იმერლიშვილსო, ეს ბარათი უპყრიათ ხელთ. და რახან ასეთი კითხვა დაუსვეს, ეს ნიშნავს, რომ გიორგის რამენაირად უნდა ამოართვან მათთვის სასურველი ვერსია: თითქოს გიორგიმ ისაკს დაავალა არალეგალური ჯგუფების შექმნა შილდასა და ახლო-მახლო სოფლებში. და ვერსია მაინც შეითხზა, მიუხედავად იმისა, რომ ბარათში ასეთს ვერაფერს ამოიკითხავდნენ (ასე რომ არ ყოფილიყო, უკეთესი ნივთმტკიცება რა იქნებოდა), და ვერც გიორგის გააშიფრინებდნენ.

იქნებ დაშიფრული არც არაფერი ყოფილა და ბარათი უბრალო მოკითხვისა იყო? ალბათ მთლად ასეც არ იქნებოდა, მაგრამ ხელჩასაჭიდსაც რომ ვერ ჩაავლეს? ვერსიის შეთხზვას წინ მაინც რა დაუდგებოდა და ისაკს რომ დააპატიმრებდნენ, მასთან ერთად გრიგოლ (გიგა) კოკილაშვილსაც შეიპყრობდნენ. მათი ერთდროული დაჭერა იმან გამოიწვია, რომ ბარათი გიორგიმ გიგას გაატანა. გიგაც მათი თანასოფლელი, შილდელი იყო, სირაჯად იდგა კოლმეურნეობა „მესვეურის“ მიერ თბილისში გახსნილ ღვინის წერტში და წასვლა-წამოსვლა ხშირად უხდებოდა. ეს ბარათი რომ წაულია, ისაკისათვის კი არ ჩაუბარებია ხელში, „ბირჟაზე“ გაუვლია და ერთ-ერთი შეთქმულის, სოლომონ იმერლიშვილის ახლობელისათვის უთხოვია, ისაკს ეს წერილი გადაეციო. ნეტა ასე გაუფრთხილებლად რატომ მოიქცა? არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა შეთქმულების არსებობაზე, ბუნდოვნად იცნობდა და დავალება მაინცდამაინც სახიფათო არ ეჩვენებოდა. თუ დარწმუნებული იყო, სოლომონის ახლობელიც განდობილი იქნებაო? ყველაზე მეტად პირველი მიზეზია საგულვებელი, თორემ ასე სახალხოდ გადაცემა სრულიად გაუგებარია. სამაგიეროდ, სავსებით გასაგებია, რომ იმ ახლობელს იქვე მდგარმა თანასოფლელმა ბარათი გამოართვა, გადაწერა და დაუბრუნა. თურმე იქ მიზანდასახულად ტრიალებდა. შეთქმულებაზე მიჩენილ უშიშროების აგენტურას აკი ყველა საეჭვო ადგილი დაექსელა და მეთვალყურეობის ქვეშ მოექცია. ის ახლობელი რას წარმოიდგენდა, რომ ეს წერილი არაპირდაპირ სოლომონსაც (პროფესიით იურისტი გახლდათ, ერთადერთი იურისტი შეთქმულთა შორის) ეხებოდა: შეთქმულების ირგვლივ რაც შეკოწიწდა, სოლომონ იმერლიშვილიც იმან გადაიყოლა. ისაკისა და გიგასაგან განსხვავებით იგი მართლაც აქტიური მონაწილე უნდა ყოფილიყო, რადგან დახვრეტა მიუსაჯეს.

მისი ახლობელი, როგორც ჩანს, განდობილი არ ყოფილა, მაგრამ ბარათი რომ გამოართვეს და გადაიწერეს, ამან რატომ არ დააეჭვა? და ისაკს რომ გადასცა, თავისი ეჭვი რატომ არ გაუზიარა? აღარ იცი, რა იფიქრო.

(დასასრული იქნება)

# პირველად საქართველოში!

## ტურიზმის სერვისის სასწავლებელი

**საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან, სპორტისა და ტურიზმის სამინისტროსთან შეთანხმებით**

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1992—93 სასწავლო წლისათვის არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულების (სწავლების ვადა 3 წელი) და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულების (სწავლების ვადა 1—2 წელი) **გაძლიერებული უცხო ენების სწავლებით** (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) **გოგონებისა და ვაჟების**, შემდეგ პროფესიებზე:

| | სწავლების ვადა 9 კლ. დამთავრებ. | სწავლების ვადა საშ. სკ. კურსდამ. |
|---|---|---|
| 1. სურსათ-ვაჭრობის მოლარე კონტროლიორი | 3 წელი | 1 წელი |
| 2. ბარმენი | 3 წელი | 2 წელი |
| 3. მეტრდოტელი | 3 წელი | 2 წელი |
| 4. მიმტანი | 3 წელი | 2 წელი |
| 5. მზარეული | 3 წელი | 1 წელი |
| 6. სართულის მორიგე (დიასახლისი) (გორნიჩნაია) | 3 წელი | 2 წელი |

სასწავლებლის კურსდამთავრებულები მიიღებენ საშუალო განათლებისა და პროფესიაში კვალიფიკაციის მინიჭების დიპლომს. სამწლიანი სწავლების მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან დღეში ორჯერადი კვებით. საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი მიიღებენ სტიპენდიას დადგენილი წესით 500 მან. ოთხოსან და ფრიადოსან მოსწავლეებს სტიპენდია გაუდიდდებათ 50—60 პროცენტით.

სწავლის პერიოდი ითვლება უწყვეტ სამუშაო სტაჟად. სასწავლებლის ყველა მოსწავლე საწარმოო პრაქტიკას გაივლის რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს დაქვემდებარებულ საწარმოებში პროფესიების მიხედვით. შესაძლებელია წარჩინებული მოსწავლეები პრაქტიკაზე გაიგზავნონ საზღვარგარეთ. ყველა კურსდამთავრებული, რომელიც კარგად დაეუფლება უცხო ენას, უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო ადგილით სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს დაქვემდებარებულ საწარმოებში.

სწავლა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე.

სასწავლებელში მიიღებიან თბილისში მუდმივად ჩაწერილი ახალგაზრდები 30 წლის ასაკამდე. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსულებმა უნდა წარმოადგინონ მიმართვა პროფესიების შესაბამისად საწარმოო დაწესებულებებიდან.

**მიღება მოხდება საკონკურსო შერჩევით და გასაუბრებით უცხო ენებში.**

მსურველებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე არჩეული პროფესიის ჩვენებით.

განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები:

**საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის**

1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი)
2. დაბადების მოწმობა (დედანი)
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ
5. ავტობიოგრაფია
6. ფოტოსურათი 6 ცალი (3X4)
7. დახასიათება

**9 კლასდამთავრებულთათვის**

1. 9 კლასის დამთავრების მოწმობა (დედანი)
2. დაბადების მოწმობა (დედანი)
3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან
4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ
5. ფოტოსურათი 6 ცალი (3X4)
6. პირადი საქმე სკოლიდან

პასპორტს წარმოადგენენ პირადად

განცხადება მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 16 საათამდე, შაბათს 10 საათიდან 14 საათამდე.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს

**მისამართი: დიღმის მასივი, გამწვანების ტერიტორია, სსგ „მიონის" გაჩერება.**

**ავტობუსები: №№ 1, 53, 151, 60, 210, 217, ტროლეიბუსი № 19**

**მიკროავტობუსები: № 41 და № 44**

**ტელეფონები: 51-85-78, 51-88-37, 51-85-21**

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებელში

**შენიშვნა: საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის წლოვანების შეზღუდვა არ იქნება.**




* * *

ქართულ-ინგლისური კულტურის ცენტრი „მთვარის გლობუსი" გთავაზობთ ტურისტულ მოგზაურობას სირიის ქალაქ ალეპოში თურქეთის გავლით (გაჩერება 2 დღე ქ. სამსუნში).

საგზურის ღირებულებაა 140 ამერიკული დოლარი და 4.000 მანეთი. საგზურის ღირებულებაში შედის მგზავრობა კომფორტული ავტობუსით, 3 დღე ალეპოში სასტუმროში ცხოვრება, ორჯერადი კვება, საბაჟო გადასახადები და ტურისტული მომსახურება.

**ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ძმები კაკაბაძეების ქ. № 2, კინოს სახლი, მე-3 სართული, „მთვარის გლობუსი". ტელ.: 98-83-27.**




## კომერსანტების, საწარმო-დაწესებულებების, ფირმებისა და კერძო პირთა საყურადღებოდ!

თუ გსურთ გარანტირებულნი იყოთ **თქვენი ტვირთების უდანაკარგოდ და შეუფერხებლად გადაზიდვაში რკინიგზის ტრანსპორტით,** რომელიც დღეს ყველაზე უფრო მომგებიანია სატრანსპორტო საშუალებათა შორის, მიმართეთ საქართველოს რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სამსახურს, ერთადერთ ოფიციალურ სტრუქტურას, რომელსაც შეუძლია უდანაკარგოდ გადაიტანოს თქვენი ტვირთი არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ საქართველოს ნებისმიერი საწყისი პუნქტიდან ყოფილი საბჭოთა იმპერიის ნებისმიერ ბოლო პუნქტამდე.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი 15, (რკინიგზის სამმართველოს შენობა მე-4 სართული), ელსმენი: 99-47-25, სადღეღამისო: 95-20-47, 99-47-75.

მაშ ასე! თქვენი სურვილი, ჩვენი საქმე!


ინდექსი 66447

ფასი 5 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილის 93-18-41.

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი


XI